პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

მეოთხე წელიწადი

საქართ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტის
და სრულიად საქართველოს მუშათა,
გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცენტრ. აღმასკომის
ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი
№ 24, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე
გარდა კვირა-უქმეებისა 10—11 საათ.
ტელეფონები (რედაქტორის 14—76
(მდივანის 10—58

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 24
ტელეფონი 10—49
ხელისმომწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთ —65 კ., დანარჩ. ქალაქში—85 კ. ქალაქს გარეთ 95 კ. განცხადებები: ნომპარელის სტრიქონით—20 კ. აწყობა ციფრებით—25 კ. ა. | კვკა. გარეშე—40 კ. აწყობა ციფრებით—60 კ., შუა გვერდებში—ორჯერ მეტი. სამგლოვიარო განცხადება — 5 მან. განმეორებითი განცხადება 15 პროცენტ. შეღავათით. განცხადება მიიღება ნაშუადღ. 3 საათამდე.

№ 218 (1073) ოთხშაბათი 24 სექტემბერი 1924 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 4 კ. № 218 (1073)

დღიური

— პოლონეთის პოლიციამ მოახდინა ახალი ჩხრეკა კომუნისტების ორგანიზაციებში.

— საბერძნეთი ცდილობს სესხი მიიღოს საფრანგეთში.

— საფრანგეთში საქარხნო ნიადაგზე მოხდა შეტაკება მუშებსა და პოლიციას შორის.

— ამ დღეებში საბოლოოდ დაიდება სავაჭრო ხელშეკრულება გერმანია-ბელგია-საფრანგეთს შორის.

— ოსმალეთის დელეგაცია ერთა ლიგიდან დაჟინებით მოითხოვს, რომ მოსსულის რაიონში დარჩეს ოსმალეთის ხელისუფლება.

ოთხშაბათს, 24 სექტემბერს, საღამოს 6 საათზე, აღმასკომის შენობაში (თავმჯდომარის კაბინეტში ოთ. № 1) მოწვეულია

თბილისის აღმასკომის პლენუმის მორიგი სხდომა

დღის წესრიგი: 1) მოხსენება კომუნალურ ბანკის მოქმედების შესახებ და შემდეგი მუშაობის გეგმა. 2) მოხსენება ჯანმრთელობის განყოფილების წალკაში საავადმყოფოს მოწყობის და ამხ. კამოს სახელობის საავადმყოფოს აღმასკომის განკარგულებაში გადმოსვლის შესახებ. 3) მიმდინარე საკითხები. დასწრება აღმასკომის ყველა წევრთა და კანდიდატთა სავალდებულოა.

6. 1559 2—2 **პრეზიდიუმი.**

ოთხშაბათს, 24 სექტემბერს, თბილისის აღმასკომის შენობაში თავმჯდომარის კაბინეტში 1 ნახ. საათზე, შესდგება საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტის

საბინაო კომისიის სხდომა.

ქვემოთ ჩამოთვლილ ამხანაგების გამოცხადება სავალდებულოა: არზრუმელაშვილის, ჯულელის, ა. რუხაძე, კიკნაძე ან., ფირალოვის, ვარძიელის, ლეინის, [illegible], უნგიაძეს და არმიის და ცენტრო-აღმშენებლობის წარმომადგენლების.

1564 2—2. თავმჯდომარე **ივანოვ-კავკასიელი.**

რათ ესაჭიროებათ იმპერიალისტებს „დამოუკიდებელი" საქართველო

ჩვენ გამოქვეყნებული გვქონდა ცნობები, თუ როგორ გამოეხმაურა მენშევიკების ავანტიურას „მცირე ერების მოსარჩლე" ბურჟუაზიული ევროპა.

ბურჟუაზიულმა და „სოციალისტურმა" გაზეთებმა ასტეხეს განგაში და სიცრუის კორიანტელი დააყენეს ჩვენში მომხდარ ამბების შესახებ.

ფრანგ „სოციალისტმა" პიერ რენოდელმა, რომელსაც მენშევიკების პურ-მარილი არ დავიწყებია (ის მენშევიკების დროს ეწვია საქართველოს), მიმართა ერრიოს ჩაერიოს საქართველოს საქმეებში.

მეორე „კეთილშობილმა" ფრანგ „სოციალისტმა" პოლ ბონკურმა,—როგორც თვითონ აცხადებს, მაკდონალდსა და ერრიოსთან შეთანხმებით,—საქართველოს საკითხი დასვა ხალხთა ლიგის სხდომაზე და ამ „პატივცემულმა" დაწესებულებამ არ დააყოვნა აშკარად მტრული პოზიციის გამოჩენა საბჭოთა კავშირის მიმართ.

პოლონეთის დედა-ქალაქის თვითმართველობამ, იმ პოლონეთის, რომელიც ფეხქვეშ თელავს ეროვნულ უმცირესობათა უფლებებს,—გადადო განსაზღვრული თანხა საქართველოს „აჯანყებულთა" სასარგებლოდ.

ამგვარად, საქართველოს მენშევიკებმა და ყოფ. თავადების ავანტიურამ ერთხელ კიდევ მისცა საბაბი ევროპის ბურჟუაზიას და მის დამქაშ მეორე ინტერნაციონალს გაელაშქრათ მშრომელთა რესპუბლიკების წინააღმდეგ.

რა თქმა უნდა, თავისთავად ჩვენი ქვეყნის კეთილდღეობაზე ზრუნვა მათ ფიქრადაც არ მოსდით. ან ვინ მოიწვია ეს „არამკითხე ოპეკუნები" ქართველი ხალხის ბედის გადასაწყვეტად!

როცა ევროპის ბურჟუაზია, სოციალ-მოღალატეების ლოცვა-კურთხევით, რომელიც სისხლში ახრჩობს დაჩაგრულ ხალხებს ინდოეთში, ირლანდიაში, პოლონეთში, რუმინიაში და სხვაგან,—ხმას იმაღლებს საქართველოს „განთავისუფლებლად",—მას, ყველასათვის ცხადია, ამოქმედებს თავისი საკმაოდ გაშიშვლებული მტაცებლური ინტერესები.

ჩვენ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მენშევიკების ავანტიურა ერთი ეპიზოდთაგანია იმ გააფთრებული კამპანიის, რომელსაც მსოფლიო ბურჟუაზია საერთოდ აწარმოებს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. ბრძოლა ინგლის-საბჭოთა ხელშეკრულების რატიფიკაციის წინააღმდეგ ინგლისში, ჩინეთის ამბები, მენშევიკების „გამოსვლები" ჩვენში და მრავალი სხვა,—ეს ცალკე ფაქტებია იმ მთლიანი ანტისაბჭოთა იმპერიალისტური პოლიტიკის, რომლის ავტორები სხედან პარიზსა, ლონდონსა, ნიუიორკსა და ბურჟუაზიულ მსოფლიოს ზოგიერთ სხვა დედა-ქალაქებში.

დღეს არავისთვისაა საეჭვო, რომ კერძოდ მენშევიკების ავანტიურა მოხდა ევროპის ბურჟუაზიის კარნახით და მისი ფულებით. ევროპის დღევანდელ მესვეურებს სურდათ საქართველოს „აჯანყების" ფაქტით „მორალურად" გაემართლებიათ „ფართე საზოგადოების" თვალში თავიანთი მტრული განწყობილება საბჭოთა კავშირისადმი. ევროპის მშრომელი მასსა გადაჭრით მოითხოვს შეთანხმებას და ნორმალურ დამოკიდებულების აღდგენას ჩვენს რესპუბლიკებთან. ამის ზეგავლენით მაკდონალდი იძულებული გახდა ხელი მოეწერა ლონდონის ხელშეკრულებაზე. მაგრამ ბურჟუაზია მიმართავს სხვადასხვა ხრიკებს მასსის ასეთი განწყობილების შესაცვლელად და მის ასამხედრებლად საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ.

სწორედ ამ მიზნით უნდოდათ გამოეყენებიათ ჩვენებური მენშევიკების და თავადების ავანტიურა.

ევროპის ბურჟუაზიის ნამდვილ განზრახვას, ჩვენში მომხდარ ამბებთან დაკავშირებით, კარგად ააშკარავებს გაზ. „პტი-ჟურნალ". ის აყენებს საქართველოს და კავკასიაში მოსახლე სხვა ხალხების დამოუკიდებელ სახელმწიფოში ორგანიზაციის იდეას — ხალხთა ლიგის მფარველობის ქვეშ, ე. ი. ინგლის-საფრანგეთის კაპიტალის ბატონობის ქვეშ. „რა დიდი მატერიალური ძალა ექნებოდა ხალხთა ლიგას,—აცხადებს გაზეთი,—თუ ის უზრუნველყოფს თავის კონტროლს ნავთის წყაროებზე, რომელთაც ესოდენი მნიშვნელობა აქვთ მსოფლიოს მშვიდობიანობის საქმისთვის".

„მსოფლიო მშვიდობიანობა" ეს სიტყვის სილამაზისა და გულუბრყვილო მკითხველის მოსატყუებლადაა მიტმასნებული. ნამდვილი აზრი კი არის ბაქოს ნავთის ხელში ჩაგდება და ამ მიზნით საქართველოს გამოყენება, როგორც გზისა და ბაზის, ევროპის იმპერიალიზმის მიერ.

მაგრამ ინგლის-საფრანგეთის ბურჟუაზიის ეს „ტკბილი სიზმარია", რომელიც არასოდეს არ განხორციელდება. სამ ნახევარი წლის წინედ, მენშევიკების ბატონობისდროს, ჩვენი ქვეყანა მართლაც წარმოადგენდა ასეთ ბაზას. მაშინ საქართველოს გზით ევროპის იმპერიალიზმი ცდილობდა ბაქოს ნავთის დაპყრობას, ახლო აღმოსავლეთზე გაბატონებას და საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ გალაშქრებას.

მაგრამ ეს დრო სამუდამოდ ჩაბარდა წარსულს. საქართველოს მუშებმა და გლეხებმა რკინის ცოცხით აღგავეს როგორც მენშევიკები, ისე აქ მოკალათებული უცხოელი იმპერიალისტები.

დღეს ამ უკანასკნელებმა ერთხელ კიდევ სცადეს „ბედი" და ძველი მდგომარეობის აღდგენა. მაგრამ კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ. ქართველმა მშრომელ ხალხმა საკადრისი პასუხი გასცა სისხლის ღვრის მოციქულებს. დღეს მათ მხოლოდ ის დარჩენიათ, რომ სიცრუით კვებონ ევროპის „საზოგადოებრივი აზრი" საქართველოს ამბების შესახებ და „დაიხმარონ" ისეთი მკვდარი ორგანიზაცია, როგორიცაა ხალხთა ლიგა.

მაგრამ ევროპის მშრომელი მასსა ერკვევა საქმის ნამდვილ ვითარებაში, ხოლო საბჭოთა კავშირის მუშათა კლასი „არამკითხე ოპეკუნებს" მეორე ინტერნაციონალიდან და ხალხთა ლიგიდან თავის ადგილს მიუჩენს.

ჩვენი მასწავლებლობა და მისი ხელფასი

კულტურულ ფრონტზე ამ უკანასკნელ სამ წელში ჩვენ საკმაო მიღწევები გვაქვს. სოფლის სკოლა შენდება, სკოლის ქსელი ფართოვდება, სოფლის სკოლის შენობები თანდათან კეთდება და მეთოდიური მხარეც უმჯობესდება. მასწავლებლობის ზაფხულზე გადამზადება იძლევა მასწავლებელთა მასის კვალიფიკაციის და სოფლის სკოლებში მეთოდიური მხარის ამაღლების საშუალებას.

ჩვენ არა ერთხელ აღგვინიშნავს ყრილობებსა და პარტიულ თათბირებზე მასწავლებლობის მდგომარეობის გაუმჯობესების საჭიროება, რომ მისი ხელფასი სრულიად არ აკმაყოფილებს მის მოთხოვნილებებს.

მტკიცე ფულის სისტემაზე გადასვლით მუშა-მოსამსახურეთა რეალური ხელფასი განისაზღვრა, კერძოთ მასწავლებლობისათვისაც, რომელიც მუდამ „ხელფასის ჩამორჩენილ ჯგუფში" ირიცხებოდა.

მასწავლებლობა, უწევდა რა ანგარიშს რესპუბლიკის მატერიალურათ შევიწროებულ მდგომარეობას, იცდიდა, მაგრამ არ ჰქონდა იმედი, რომ მომავალ სასწავლო წელიწადში მისი ხელფასი გაიზრდებოდა.

მასწავლებელთა ხელფასის გადიდების საკითხი დღის წესრიგიდან არ მოხსნილა; ის მუდამ პირველ რიგში იდგა.

ხელფასის ძველი ქსელი 1: 5 მინიმუმი 6 მანეთის მიხედვით (90 პროც. ქსელი) მასწავლებელს აძლევდა საშუალებას მიეღო მთელ თავის მუშაობისათვის მხოლოდ 12 მანეთი და 96 კაპ.—21 მან. 60 კაპ. ცენზის და სტაჟის მიხედვით.

ახალი ხელფასი, რომელიც ამ ჟამად ცხოვრებაში ტარდება (აგვისტოს ჯამაგირი დარიგდა ახალი ტარიფის მიხედვით), აწესებს ჯგუფის ხელმძღვანელ სოფლის მასწავლებლისთვის თვიურად 25 მანეთს—საშუალო ხელფასის 30 მანეთის მიხედვით.

რომ უფრო ნათელი იყოს ხელფასის გადიდება, საჭიროთ ვთვლით მოვიყვანოთ ხელფასის შემდეგი ცხრილი.

ხარისხი	100 პროცენტ. ქსელი			90 პროცენტ. ქსელი		
	არსებული ხელფასი	ახალი ხელფასი	გადიდება პროც.-ში	არსებული ხელფასი	ახალი ხელფასი	გადიდება პროც.-ში
8	14—40	27—50	91,0	12—96	25—00	92,9
9	16—20	27—50	69,8	14—58	25—00	71,7
10	18—00	27—50	52,8	16—20	25—00	54,3
11	19—20	30—00	56,2	17—28	27—50	59,3
12	21—00	30—00	42,9	18—90	27—50	45,5
13	22—20	32—50	46,4	19—98	30—00	50,2
14	24—00	32—50	35,4	21—60	30—00	38,5

ამგვარათ ხელფასის გადიდება პირველ საფეხურის სკოლის მასწავლებლობისათვის უდრის 58 პროც.

ეს გადიდება არ შეხებია თანასწორათ განათლების მუშაკთა ყველა ჯგუფს. მასსიურ დაწესებულებებში ხელფასის ფონდი იძლევა საშუალებას დაუწესოთ საგნების მასწავლებლებს მომატება მხოლოდ 20 პროც., მხოლოდ ისე, რომ მასწავლებელმა, რომელსაც ეძლევა ნორმალური დასატვირთი ჯილდო, არ უნდა მიიღოს 25 მან. ნაკლები 90 პროც. ქსელით და 27 მ. 50 კაპ. 100 პროც. ქსელით.

განათლების მუშაკთა დანარჩენ ჯგუფებს მომატება არ შეხებია.

მასწავლებლობის ხელფასის გადიდებამ გამოიწვია ხელფასის ფონდის გადიდება 25 პროცენტით.

უახლოესი პერსპექტივები, რომლებიც ძირიანად სცვლიან სწავლა-განათლების ხარჯთ-აღრიცხვას გამოიხატება იმაში, რომ დამდეგ სასწავლო წლიდან ხელფასის ქსელის 1:5 ნაცვლად დამყარდება 1:8 და ხელფასის მინიმუმი იქნება 6 მანეთის მაგიერ 7 მანეთი. ამის მიხედვით გადაწყდება საკითხი მასწავლებლისათვის მთლიან—ერთიან ხელფასის და შრომის ნორმის შესამუშავებლად მთელ კავშირის მასშტაბით, რის შემდეგ შესაძლებელი იქნება ფართოდ გამოვიყენოთ ადგილობრივი საშუალებანი.

აი ეს ზომები გააუმჯობესებენ ჩვენი მასწავლებლობის მატერიალურ მდგომარეობას, რის შემდეგ ჩვენ შევსძლებთ კულტურულ ფრონტზე დიდ შედეგების მიღწევას.

დ. კანდელაკი.

სავაჭროებში მომუშავეთა პროცენტული დაჯილდოება

შრომის ხელფასის სხვა და სხვა ფორმათა შორის პრაქტიკამ იცის ეგრედ წოდებული დაქირავებული შრომის პროცენტული დაჯილდოება.

არსებითად შრომის ხელფასის ეს ფორმა წარმოადგენს შრომის დაჯილდოებას ნამუშევარის შედეგების მიხედვით. მომუშავე, ამ ხელფასის სისტემის დროს, შრომის ხელფასს იღებს არა ნამუშევარ დროისათვის, არამედ იმის და მიხედვით, თუ რა ნაყოფი გამოიღო მისმა შრომამ. თუ მან ბევრი სარგებლობა მოიტანა—ჯილდოც ბევრი იქნება, თუ ნაკლები ჯილდოც ნაკლები იქნება. რამდენად გაიზრდება მუშაობის შედეგი, იმდენად გაიზრდება ჯილდოს რაოდენობაც. შრომის ხელფასს ასეთ შემთხვევაში აქვს ნამუშევრის რიცხობრივი შედეგის განსაზღვრული პროცენტის ხასიათი.

შედეგის მიხედვით შრომის დაჯილდოება დამყარებული არის მატერიალურ დაინტერესების პრინციპზე. ის ქმნის შრომის ინტენსივობის გაზრდის სტიმულს. ასეთ საფუძველზე აგებული შრომის დაჯილდოება იძლევა ერთის მხრივ ნამუშევარის მეტ შედეგს, მეორე მხრივ—ადიდებს შრომის ხელფასის რაოდენობას. სარგებლობა ეძლევა როგორც წარმოებას, ისე დაქირავებულს.

უმეტეს ნაწილად შრომის პროცენტულ დაჯილდოებას ადგილი ჰქონდა და ახლაც შეიძლება ის გატარდეს ფართო მასშტაბით სახელმწიფო და კოოპერატიულ სავაჭრო დაწესებულებებში. პროცენტული დაჯილდოების შემოღება არა მარტო სასურველია ჩვენს სახელმწიფო სავაჭრო ორგანოებში, არამედ აუცილებელიც, თუ მხედველობაში მივიღებთ ჩვენი ვაჭრობის ახლანდელ მდგომარეობას.

ჩვენი ახლანდელი პრაქტიკული ამოცანა გამოიხატება ბაზრის დაპყრობაში კერძო ვაჭრობასთან კონკურენციის საშუალებით. ცხადია, რომ არ იკმარებს მარტო სავაჭრო მაღაზიების სიმრავლე, საქონლის დიდი რიცხვი და ფასების სიმცირე. საჭიროა კიდევ ერთი პირობა, ურომლისოდაც ძნელია ბაზრის დაპყრობის საკითხის გადაჭრა,—ეს არის მყიდველების მიზიდვა. მყიდველების მიზიდვა კი შესაძლებელია, თუ ჩვენს სავაჭრო ორგანოებში შევქმნით ისეთ პირობებს, სადაც მყიდველი უზრუნველყოფილი იქნება საქონლის ამორჩევით, რჩევის მიღებით, გამყიდველი მოსამსახურის კარგი მოპყრობით და საქონლის დროზე მიღებით. საქონლის რამოდენიმე კაპეიკით სიიაფე სახელმწიფო და კოოპერატიულ მაღაზიაში, ვიდრე ეს არის კერძო სავაჭროში, მყიდველს იმდენად არ დააინტერესებს, რამდენად საქონლის ამორჩევა, ამორჩევის დროს გამყიდველისაგან რჩევის მიღება (საქონლის თვისების შესახებ) და ნაკლები დროის დაკარგვა.

ვისზე არის დამოკიდებული ზემოთ მოყვანილ პირობების შექმნა? —გამყიდველზე. თუ გამყიდველი არ ეხმარება მყიდველს ამორჩევაში, არ აძლევს ცნობებს, გულგრილად ეპყრობა მყიდველს და ზანტად მუშაობს, მარტო რამოდენიმე კაპეიკის სიიაფით მყიდველს ვერ მივიზიდავთ.

აგიტაციით სავაჭრო ორგანოებში მოსამსახურეთა გულგრილად მოპყრობას და ზანტად მუშაობას ვერ მოვსპობთ. ეს იქნებოდა თავის თავის მოტყუება. საკითხი უნდა გადავჭრათ მატერიალური დაინტერესების საშუალებით. თვითეულ სახელმწიფო სავაჭრო ორგანოს მოსამსახურეს უნდა გაუღვიძოთ სურვილი მომატებული ენერგიით იმუშაოს და დაინტერესდეს გაყიდულ საქონლის რიცხვში.

ახლანდელი შრომის ხელფასის ფორმა, რომელიც დროულ, ე. ი. თვიურ დაჯილდოების სისტემაზე არის აგებული, მატერიალურ დაინტერესებას სრულებით ვერ ქმნის, გამყიდველ მოსამსახურესათვის სულ ერთია, დღეში ის ბევრს გაყიდის თუ ცოტას; ხელფასი ორივე შემთხვევაში ერთი ეძლევა. თუნდაც სულ რომ არაფერი არ გაყიდოს, ის მაინც უზრუნველყოფილია განსაზღვრული ხელფასით. მას უშუალოდ არაფერი არ ეკარგება მყიდველების სიმცირით.

შრომის ხელფასის მიცემა შედეგის მიხედვით, ან რაც იგივეა, პროცენტული დაჯილდოებით-კი სავაჭრო მოსამსახურეს მატერიალურად დააინტერესებს. რამდენადაც მეტი გაიყიდება საქონელი ამ მაღაზიიდან, იმდენად მეტ ჯილდოს მიიღებს მოსამსახურე გაყიდულის პროცენტის სახით. ეს კი მოსპობს როგორც ზანტ მუშაობას, ისე მყიდველებისადმი გულგრილად მოპყრობას, მოსამსახურე ყოველ ზომებს იხმარს, რომ მეტი მყიდველი მოიზიდოს და მაღაზიიდან ხელცარიელი არ გაუშვას.

სავაჭრო მოსამსახურეების პროცენტული დაჯილდოება შეიძლება ჩამოყალიბდეს სხვადასხვა ფორმებში, კონკრეტიულ პირობების მიხედვით. მოვიყვანოთ აქ უმთავრესი მათგანი.

შეიძლება განსაზღვრულ ხელფასის და პროცენტულ დაჯილდოების ერთად შეერთება, ე. ი. მოსამსახურეს ეძლევა განსაზღვრული ხელფასი, ვსთქვათ—50 მანეთი, და მას ემატება, კიდევ სავაჭროს მოგების ან საერთო საბრუნავ თანხის რამოდენიმე პროცენტი, ვსთქვათ, ერთი, ორი, სამი, ხუთი ან მეტი. ძირითადი ხელფასი შეიძლება მცირეც იქნეს და დიდიც. ეს დამოკიდებულია იმაზე, პრემიის პროცენტი მცირე წესდება თუ დიდი.

ამა თუ იმ სავაჭრო მოსამსახურეთა ჯგუფის დაჯილდოებაზე გადაყვანის დროს შეიძლება დროული (თვიური) სამუშაო ხელფასი მთლიანად იქნეს დატოვებული, ან შეიძლება ხელფასი შემცირებული იქნეს 50 პროცენტით, ან დაყვანილი იქნეს ძველი ხელფასის 25 პროცენტამდე, ან კიდევ შეიძლება სრულებით მოსპობილი იქნეს დროული ხელფასი და მთლიანად შემოღებული იქნეს პროცენტული დაჯილდოება. ეს დამოკიდებულია ერთი მხრივ კონკრეტიულ პირობებზე და მეორე მხრივ შეთანხმებაზე (პროფესიონალურ კავშირსა და ადმინისტრაციას შორის). ყოველ შემთხვევაში პრემიის პროცენტი წინააღმდეგ დამოკიდებულებაში იქნება დატოვებულ დროულ შრომის ხელფასის რაოდენობასთან. რამდენად მეტი იქნება დროული შრომის ხელფასი, იმდენად ნაკლები იქნება პრემიის პროცენტი. თუ დროული ხელფასი სულ ისპობა, პრემიის პროცენტი უნდა იყოს მაქსიმალური.

სავაჭრო ორგანოებში შრომის ინტენსივობის გადიდებისათვის მიზანშეწონილად უნდა ჩაითვალოს პროცენტული დაჯილდოებაზე მთლიანი გადაყვანა. რამდენად უფრო მეტად იქნება დამოკიდებული მოსამსახურის ხელფასი ვაჭრობის შედეგზე, იმდენად უფრო მეტად დაინტერესდება ის და მეტ უნარიანობას გამოიჩენს.

წმინდა მოგებიდან თუ საერთო შემოსავლიდან უნდა იქნეს ნაანგარიშევი პრემიის პროცენტები სავაჭრო მოსამსახურეების დასაჯილდოებლად —ესეც კონკრეტიულ მდგომარეობაზე არის დამოკიდებული. ერთ შემთხვევაში შეიძლება მიზანშეწონილი იქნეს პროცენტის გამოანგარიშება წმინდა მოგებიდან და მეორე შემთხვევაში საერთო შემოსავლიდან. მაგრამ უმეტეს ნაწილად უფრო მიზანშეწონილი იქნება პროცენტის გამოანგარიშება საერთო შემოსავლიდან, ვინაიდან წმინდა მოგება პრობლემატიურია და არ არის დამოკიდებული ამა თუ იმ სავაჭრო ორგანოს მოსამსახურეთა შრომის ინტენსივობაზე. შეიძლება ზოგიერთ შემთხვევაში შემოსავალი ბევრი იქნეს სავაჭრო ორგანოს, მაგრამ მოგება კი ცოტა (ფასების ხელოვნური დაწევა—ბაზარზე გავლენის მიზნით და სხვა).

პრემიალური დაჯილდოების პროცენტი შეიძლება ნაანგარიშევი იქნეს აგრეთვე ზედმეტი ბრუნვის თანხებიდან, ე. ი. ამ სავაჭრო ორგანოსათვის წესდება ნორმალური ბრუნვის ნორმა თვითეულ მოსამსახურეზე და ამაზე ზევით შემოსული ითვლება ზედმეტად, საიდანაც მოსამსახურეთ ეძლევათ განსაზღვრული პროცენტი.

საერთოდ შეიძლება პროცენტულ დაჯილდოების სხვადასხვა კომბინაცია, რაიც დამოკიდებულია თვითეულ სავაჭრო დარგის მუშაობის თავისებურობაზე. მაგრამ აუცილებლად უნდა იქნეს დაცული შემდეგი პირობები. თვითეულ მაღაზიისათვის, რაც უნდა პატარა არ იყოს ის, პროცენტული დაჯილდოების რაოდენობა უნდა იქნეს დაწესებული ცალკე, ვინაიდან დიდი მნიშვნელობა აქვს მას, თუ სად მდებარეობს ის,—სოფლად, დაბა-ქალაქში, დიდ ქალაქის განაპირად თუ ცენტრალურ ნაწილში. პროცენტის საერთო მასშტაბით დაწესება დაუშვებელია. პროცენტის რაოდენობა უნდა იყოს დამოკიდებული ვაჭრობაზე. სადაც ვაჭრობა დიდია, იქ პროცენტები უნდა იქნეს ნაკლები.

პროცენტული დაჯილდოება უნდა იყოს კოლექტიური, ე. ი. თვითეულ მაღაზიის მოსამსახურეთა კოლექტივი ამ მაღაზიის შემოსავლის მიხედვით იღებს პრემიას საერთოდ და შემდეგ ის ნაწილდება ცალ-ცალკე მოსამსახურეებზე პროპორციონალურად. საპრემიო თანხა რომელიმე სავაჭრო მაღაზიის მოსამსახურეთა კოლექტივისათვის უნდა ნაანგარიშევი იქნეს ამ მაღაზიის შემოსავლიდან და არა მთელ იმ სავაჭრო ორგანიზაციის შემოსავლიდან, რომელსაც ეკუთვნის ეს მაღაზია. მაგალითად, თბილისის მუშკოოპის რომელიმე მაღაზიის მოსამსახურენი პროცენტულ ჯილდოს უნდა ღებულობდენ ამ მაღაზიის შემოსავლის მიხედვით და არა მთელი მუშკოოპის შემოსავლის მიხედვით. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან მატერიალურად დაინტერესდება და ასწევს შრომის ინტენსივობას მომუშავე იმ შემთხვევაში, როდესაც ის ხედავს, რომ მის შრომის ნაყოფიერებაზე არის პირდაპირ დამოკიდებული დაჯილდოების რაოდენობა. როცა საპროცენტო დაჯილდოების რაოდენობას ანგარიშობენ არა ამ მაღაზიის შემოსავლიდან, არამედ მთელ ამ სავაჭრო ორგანიზაციის შემოსავლის მიხედვით, მაშინ თვითეულ შრომის ნაყოფიერებასა და დაჯილდოებას შორის კავშირი იკარგება, რასაც ბუნებრივად მოყვება მატერიალური დაინტერესების დაცემა და ინტენსიურ შრომის სტიმულის გაქრობა.

სავაჭრო ორგანოებში პროცენტული დაჯილდოების შემოღება, ამ საკითხის დამახინჯებულად გატარების დროს, შეიძლება გადიქცეს უბრალო ჯამაგირების გადიდებად და არავითარი შედეგი შრომის ინტენსივობის გაზრდის მხრივ არ მოიტანოს. ამის წინააღმდეგ უნდა იქნეს მიღებული ზომები.

საპროცენტო დაჯილდოების უბრალო ჯამაგირის მომატებით გადაქცევის ტენდენციას ადგილი ექნება როგორც ზოგიერთ სავაჭრო ორგანოების მხრივ, ისე მოსამსახურეთა ცალ-ცალკე ჯგუფების მხრიდანაც. თუმცა საპროცენტო დაჯილდოების პრაქტიკა ჩვენში სულ რამოდენიმე დღეს ითვლის, მაგრამ ასეთ დამახინჯებას უკვე აქვს ადგილი. მაგალითად, ავიღოთ ა.-კ. სახელმ. ვაჭრობის („ზაკგოსტორგი") და საბჭ. მუშ. პროფ. კავშირის შორის დადებული შეთანხმება, რომლითაც საბითუმო საწყობის მოსამსახურეებს ეძლევათ პრემია 0,4 პროც. რაოდენობით ყველა მაღაზიების საერთო შემოსავლიდან.

საეჭვოდ უნდა ჩაითვალოს საბითუმო საწყობების შემოსავლიდან პრემიალური დაჯილდოება, ვინაიდან, რამდენადაც ვიცი, საწყობი თვით არ აწარმოებს ვაჭრობას და არავითარი დამოკიდებულება მყიდველებთან არა აქვს, გარდა საქონლის ორდერით გაცემისა. ვაჭრობას ეწევა თვით „ზაკგოსტორგი" და არა მისი საქონლის საბითუმო საწყობი. საწყობის მოსამსახურეთა მუშაობა არ ახდენს გავლენას ვაჭრობის გაზრდაზე და შემოსავლის გადიდებაზე. შემოსავლიდან მათთვის პრემიის გაცემას არავითარი საფუძველი არა აქვს. ეს არის მხოლოდ ხელფასის უბრალო გაზრდა პრემიალურის სახით. ამას გარდა, კიდეც რომ დავუშვათ, რომ საბითუმო საწყობების მოსამსახურენი ვაჭრობას ეწევიან და მათ ენერგიულ ვაჭრობაზე დამოკიდებულია შემოსავლის გადიდება, დადებულ შეთანხმებაში ერთ საგრძნობელ შეცდომას აქვს ადგილი, სახელდობრ, პრემიით დაჯილდოება ხდება საერთო შემოსულ თანხებიდან და არა თვითეულ საწყობის შემოსავლიდან პრემიის განაწილებაც ხდება მექანიკურად საერთო მასშტაბით.

პრაქტიკაში პროცენტულ დაჯილდოების საკითხის დამახინჯებულად გატარება სრულიად დაუკარგავს მას იმ მნიშვნელობას, რომელიც ახლა მას აქვს ჩვენთვის. პროცენტული დაჯილდოება გააჯანსაღებს სახელმწიფო და კოოპერატიულ სავაჭროებს. ის ფართოდ უნდა გატარდეს, მაგრამ მას უნდა ჰქონდეს არა ჯამაგირების უბრალოდ გადიდების ხასიათი, არამედ მატერიალურ დაინტერესების ნიადაგზე სავაჭრო ორგანოებში შრომის ინტენსივობის გაზრდის მიზანი.

ტომელი.

სამოქალაქო ომი ჩინეთში მწვავდება

პეკინის მთავრობის ჯარი კიდევ დამარცხდა; შანხაი სავსეა ლტოლვილებით

ჩინეთის ნავთსადგურებში სდგას ინგლისის და ამერიკის სამხედრო ფლოტი

„ჩვენ უნდა დავეხმაროთ ჩინეთის მუშებს და ვიხსნათ ისინი მონობისაგან"

მოსკოვის მშრომელთა ხმა

მოსკოვი 23 სექტ. დიდ თეატრში „ხელები შორს ჩინეთისაგან" საზოგადოებამ მოაწყო მრავალრიცხოვანი მიტინგი. თეატრი გაჭედილი იყო მუშებით და სტუდენტების წარმომადგენლებით. ამხ. რადეკმა დაახასიათა ჩინეთის თანამედროვე მდგომარეობა და სთქვა:

„საბჭოთა კავშირის ბედი მჭიდროთაა დაკავშირებული აღმოსავლეთის ხალხების ბედთან. თუ ჩინეთი გაუმკლავდება უცხოეთის იმპერიალისტებს, ეს გააძლიერებს საბჭოთა კავშირს. ჩვენი ამოცანაა დავეხმაროთ ჩინეთის ხალხს ჩვენი გამოცდილებით და დაუკავშირდეთ ჩინეთის მშრომელ მასებს. ჩვენ ვალდებული ვართ უთხრათ ევროპის და ამერიკის მუშებს ჩინეთის შესახებ ის, რისი თქმაც თვით ჩინეთის ხალხს დღეს არ შეუძლია. თვალყური ადევნეთ ჩინეთის ამბებს, ღრმად შეიგნეთ აღმოსავლეთის რევოლიუცია. **ჩინეთის ბრძოლა მთელი მსოფლიო პროლეტარიატის ბრძოლაა იმპერიალიზმის წინააღმდეგ".**

ჩინეთის მშრომელ ხალხის სახელით გამოვიდა ლი-ცინ-ხუანი, რომელმაც აღნიშნა, რომ **ჩინეთის საკითხი ითვლება საერთაშორისო მნიშვნელობის საკითხად. თავის დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ ჩინეთს დახმარება უნდა გაუწიოს ევროპის და ამერიკის მთელმა პროლეტარიატმა.**

კომინტერნის წევრმა ამხ. კატაიამამ სთქვა: „ჩვენ ყველამ უნდა გაუწიოთ დახმარება სუნ-იატ-სენის არმიას. მთელ მსოფლიოში უნდა ჩავატაროთ ფართო აგიტაცია ჩინეთში მომხდარ ინტერვენციის წინააღმდეგ და მოვითხოვოთ ამ ინტერვენციის დაუყოვნებელი შეწყვეტა".

ამხ. მაკ მანუსმა განაცხადა: „ჩინეთის ინციდენტი წარმოადგენს იმპერიალისტურ ძალლების ურთიერთშორის უკანასკნელი ბრძოლის დასაწყისს. საზოგადოება „ხელები შორს ჩინეთისაგან", რომელიც დაარსდა საბჭოთა კავშირში, უნდა გადაიქცეს ინტერნაციონალურად.

ამხ. ტრენმა აღნიშნა, რომ ინგლისი, **საფრანგეთი და ამერიკა აწარმოებენ ბრძოლას ჩინეთის დასაყოფად** და ამგვარად ჩინეთს შეუძლია ითამაშოს ბალკანეთის როლი 1914 წელს. ეს საჭიროა მივიღოთ მხედველობაში. საჭიროა, რათა პროლეტარიატმა ამ საკითხს მიაკუთვნოს განსაკუთრებული მნიშვნელობა, რათა თავიდან აიცილოს მსოფლიო ომი.

მოხსენებების შემდეგ მოსკოვის მშრომელთა კრებამ ერთხმად მიიღო მიმართვა საბჭოთა კავშირის და სხვა ქვეყნის მშრომელებისადმი. მიმართვაში ნათქვამია:

„საბჭოთა კავშირის მუშებო და გლეხებო! თქვენ თვითონ განიცადეთ მსოფლიო ყაჩაღების ინტერვენციის საშინელებანი. დაეხმარეთ ჩინეთის მშრომელ მასებს. ხმამაღალი პროტესტი განაცხადეთ ჩინეთში იმპერიალიზმის წარმომადგენელ ბოროტ-მოქმედების წინააღმდეგ. **ინგლისის, ამერიკის, იაპონიის, საფრანგეთის მუშებო, მხოლოდ თქვენ შეგიძლიათ უკუაგდოთ ჩინეთის ხალხის წინააღმდეგ ჯალათების მიერ მიღერილი მახვილი.** მძლავრი პროტესტით გამოეხმაურეთ სუნ-იატსენის ეროვნულ-რევოლიუციონურ მოძრაობას იმპერიალისტების თავდასხმის წინააღმდეგ. **აიძულეთ თქვენი ქვეყნების მთავრობები გიპასუხონ, რატომ გაიგზავნენ ინგლისის, ამერიკის, საფრანგეთის, იაპონიის და სხვა სამხედრო გემები ჩინეთში.** გახსოვდეთ, თქვენ იმედით შემოგყურებენ ჩინეთის მუშათა და გლეხთა მილიონები. აღმოსავლეთის ჩაგრული ხალხები, თქვენ, რომელნიც იმყოფებით მსოფლიო იმპერიალიზმის ჩაგვრაში, არ შეგიძლიათ არ დაეხმაროთ ჩინეთის ძმებს.

ყველა ქვეყნების მუშებო და გლეხებო! მოითხოვეთ ჩინეთის განთავისუფლება, ჩინეთის ტერიტორიიდან უცხოეთის ყველა ჯარების გაყვანა, ჩინეთისათვის თავზე მოხვეული მონობის ხელშეკრულებათა გაუქმება. დეე, თქვენი მძლავრი და მრისხანე პროტესტის ხმა გაისმას მთელ მსოფლიოში: „ხელები შორს ჩინეთისაგან".

ახალგაზრდა ლენინელთა კომკავშირის პლენუმმა მიიღო საპროტესტო რეზოლიუცია ჩინეთის ამბების შესახებ და დაადგინა, რათა ახალგაზრდა ლენინელთა მთელი კომკავშირი შევიდეს საზოგადოებაში „ხელები შორს ჩინეთისაგან".

ჩინეთის მშრომელთა ამოცანები

მოსკოვი. 23 სექტ. იმპერიალიზმთან ბრძოლის ჩინეთის საზოგადოების მიმართვის საპასუხოდ ამხ. ტროცკიმ გაგზავნა დეპეშა, რომელშიაც აღნიშნავს, რომ სულით და გულით უერთდება იმ პროგრამას, რომელიც დასახული აქვს ჩინეთის საბოლოოდ დამონავებისათვის ამხედრებულ მსოფლიო იმპერიალიზმთან ბრძოლის საზოგადოებას. **ამ ბრძოლაში ჩინეთს იმედი უნდა ჰქონდეს ერთის მხრით იმისი, რომ მთელი მსოფლიოს პროლეტარიატი შეგნებულად მას დახმარებას გაუწევს და მეორე მხრით იმისი, რომ აუცილებელია განხეთქილება იმპერიალისტებს შორის. საბჭოთა კავშირი, რომელიც ერთგულად იცავს მისი დამაარსებელის ანდერძს, სავსებით დარჩება ჩაგრულებთან ერთად მჩაგვრელების წინააღმდეგ.**

ჩინეთის რევოლიუციონერების ამოცანას წარმოადგენს შემდეგი: მათ უნდა დაიფარონ ჩინეთის ხალხი შოვინიზმისაგან, ჩინეთის ხალხს უნდა შთააგონონ იმის შეგნება, რომ თვითეულ კაპიტალისტურ ქვეყანაში გაარჩიოს ერთი მეორესაგან ორი მთავარი კლასი—იმპერიალისტური ბურჟუაზია და რევოლიუციონური პროლეტარიატი. **მხოლოდ მთელი მსოფლიოს პროლეტარიატთან კავშირში ჩინეთის დემოკრატია მოიგერიებს ბურჟუაზიულ ბარბაროსების თავდასხმას ჩინეთის დამოუკიდებლობაზე.**

ბრძოლა ფართოვდება

ნაუენი. 23 სექტ. ჩჟან-ძო-ლინის მოწინავე რაზმები იმყოფებიან 180 კილომეტრის დაშორებით პეკინიდან. მიღებულია ცნობები იმის შესახებ, რომ **მანჯურიის არმიის დიდმა რაზმებმა გაარღვიეს ჩე-კიანგის პროვინციის არმიის ფრონტი.**

ლონდონი. 23 სექტ. ლონდონის დიპლომატიურ წრეებში დარწმუნებული არიან იმაში, რომ უცხოეთის დიპლომატიურ წარმომადგენლებს შანხაიში არავითარი საფრთხე არ მოელით. **შანხაიში უცხოეთის კვარტალს იცავს მოხალისეთა რაზმი, ხოლო ნავთსადგურში დგანან უცხოელების გემები.** ერთად-ერთი საფრთხე, რომელიც უცხოელებს მოელით, მდგომარეობს იმაში, რომ ჩინელი ლტოლვილები, რომლებიც ჩინეთის ყველა კუთხეებიდან თავს იყრიან შანხაიში, შექმნიან ქალაქში აუტანელ პირობებს.

სამხედრო ექსპერტების აზრით, სამხედრო ოპერაციები ზამთრის განმავლობაში, დაკავშირებულია ისეთ სიძნელესთან, რომ **გადამწყვეტი შედეგები მოსალოდნელია მხოლოდ გაზაფხულის დასაწყისში.**

პარიზი. 23 სექტ. ჩე-კიანგის პროვინციის არმია განაგრძობს წინააღმდეგობის გაწევას. **ჩჟან-ძო-ლინი პირველ შეტაკებიდან პეკინის ჯარებთან გამარჯვებული გამოვიდა.**

რომი. 23 სექტ. შანხაიდან მიღებულ უკანასკნელ ცნობების თანახმად, ბრძოლების შემდეგ ჩე-კიანგის პროვინციის ჯარებს არ მოსვლიათ დამხმარე ძალები, ამიტომ **იხევენ** უკან და ამოკლებენ ფრონტს.

მდგომარეობა ფრონტზე

პეკინი. 22 სექტ. სამოქალაქო ომის ფრონტზე საქმე მიმდინარეობს ნელა. ჟურნალისტებთან საუბრის დროს მარშალმა უ-პეი-ფუმ განაცხადა შემდეგი:

— პეკინის მთავრობას არ სურდა ომი, მაგრამ იგი იძულებული იყო მიეღო ზომები მეამბოხეთა წინააღმდეგ, ყოველ შემთხვევაში ბოლო უნდა მოეღოს ჩჟან-ცზო-ლინს. **თუ ჩჟან-ცზო-ლინი უკან დაიხევს მანჯურიის შიგნით, უ-პეი-ფუს გადაწყვეტილი აქვს შეტევა დაიწყოს და შეიჭრას მანჯურიაში.** ამგვარათ ერთხელ და სამუდამოთ ბოლოს მოუღებთ ჩჟან-ცზო-ლინს და ვაიძულებთ მანჯურია საბოლოოთ დაუმორჩილოთ პეკინის მთავრობას.

უცხოეთის პრესა

ახალი ქარი ჰქრის

საფრანგეთის გაზეთები დიდ ადგილს უთმობენ უკანასკნელ ხანებში საბჭოთა კავშირთან საფრანგეთის დაახლოების საკითხს. გაზეთებში იბეჭდება წერილები იმის შესახებ, თუ რა მნიშვნელობა ექნება ორივე მხარისათვის ამ დაახლოებას. იბეჭდება მასალები კერძოთ რუსეთის მდგომარეობის დასახასიათებლათ. უმეტეს შემთხვევებში ეს წერილები ხასიათდებიან საბჭოთა კავშირისადმი, ან მასთან ნორმალური ურთიერთობის აღდგენის იდეისადმი კეთილგანწყობილებით. განსაკუთრებით იქცევენ ყურადღებას ამ მხრივ გაზ. „ტან" და „კოტიდიან", რომელიც არის ორგანო ეგრედ წოდებულ მემარცხენე ბლოკისა ერრიოს მეთაურობით.

აგერ წინაზე „კოტიდიანმა" დაიწყო გამოქვეყნება წერილების სერიისა, რომლებიც ეკუთვნიან პიერ მარტენს. ამ უკანასკნელმა მოიარა რუსეთი და სწერს თავის შთაბეჭდილებებს, რომლებიც საბჭოთა კავშირის სასარგებლოთ ლაპარაკობენ. ამის გამო ცმუტავს ესერების გაზეთი „დნი". მას ვერ მოუნელებია, როდესაც მარტენი ამბობს მაგალითად შემდეგს:

„ნუ ჩავიდენთ შემდეგში მაინც შეცდომებს და ნუ დავსდებთ ბრალს კომუნისტების ტაქტიკას: შიმშილობა ყოველთვის ყოფილა ხოლმე რუსეთში. მაგრამ 1921 წლის შიმშილობა უფრო სერიოზული აღმოჩნდა იმიტომ, რომ ომმა და ბლოკადამ დაშალა სოფლის მეურნეობა და ტრანსპორტი"-ო.

1922 წელში, ამბობს შემდეგ ავტორი, ზავოდები მართალია არ მუშაობდენ, მაგრამ ამაშიც ბრალი უდევს ისევ ომსა და ბლოკადას და არა კომუნისტებსო.

ესერების გაზეთი გულმოსულია. მისი აზრით, „საბჭოთა მთავრობის ასეთი დაცვა" უტიფრობა და მიუტევებელი ცოდვაა. ავტორი თმას იგლეჯს ამ „უტიფრობის" გამო და მიმართავს საფრანგეთის საზოგადოებას (ბერლინიდან) არ დაუჯეროს „კოტიდიან"-ის თანამშრომელს. მაგრამ მისდა საუბედუროთ ეს ღაღადი ესერების „უდაბნოდან" უშედეგოთ რჩება. თანდათან იპყრობს „საზოგადოებრივ აზრს" რწმენა იმის შესახებ, რომ ესერებისა და სხვა თეთრგვარდიელთა წყაროებიდან გავრცელებული ცნობები საბჭოთა კავშირის შესახებ მუდამ ამრუდებდა ჭეშმარიტებას და სინამდვილეს, და რომ ამიტომ თეთრგვარდიელთა ლათაიები აღარ სარგებლობენ ძველებური გავლენით საზოგადოებაზე.

„მუშათა კლასი მზად არის ბრძოლისათვის“

ლიბერალების განცხადებით, ჩვენ სესხად მოგვეცემა 30 მილიონი გირ. სტერლინგი

კელნის გამოფენაზე საბჭოთა კავშირის პავილიონი იპყრობს საერთო ყურადღებას

ინგლისის მუშები აცხადებენ, რომ ისინი არ დასთმობენ არაფერს ხელშეკრულების საკითხში

მუშათა კლასის კამპანია

ლონდონი, 22 სექტ. „დეილი ჰერალდ“-ი მეთაურ წერილში სწერს: **„მუშათა პარტიის მიერ ხელშეკრულების რატიფიკაციის სასარგებლოთ დაწყებული კამპანია, რომელიც მთელს ქვეყანაში ტარდებოდა არაჩვეულებრივი წარმატებით,** დამთავრდა. ლიბერალების აგიტაცია და, კერძოთ, ლოიდ-ჯორჯის გამოსვლა რუსეთის საკითხის შესახებ ააშკარავებს ლიბერალების რყევას და მათ მამლაყინწობას. მუშათა პარტია მზად არის ბრძოლისათვის; ასკვიტს და მის მერყევ კოლეგებს შებრალება არ ექნებათ“.

სხვა გზა არ არის

ლონდონი. 22 სექტ. ინგლისის მუშათა პარტიის ლიდერების ყველა გამოსვლები უკანასკნელ დღეებში შეეხებოდა ინგლის-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულებას.

ჯანმრთელობის მინისტრმა უიტლმა, მუშათა პარტიის მიტინგზე შეკლსტანში განაცხადა:

„მთავრობის პოლიტიკის დამარცხება საბჭოთა კავშირის მიმართ ჩვენ უფრო ძვირათ დაგვიჯდება, ვიდრე ის ინტერვენცია საბჭოთა კავშირში, რომელსაც ხელმძღვანელობდა ლოიდ-ჯორჯი და მისი კოალიციონური მთავრობა. ხელშეკრულება წარმოადგენს უკანასკნელ გარანტიას ინგლისისათვის რუსეთის ბაზრის განმტკიცების და გაფართოების საქმეში მრავალ წლების განმავლობაში. თუ ლიბერალებმა და კონსერვატორებმა მოახერხეს შეთანხმების ჩაშლა, საეჭვოა, რომ რომელიმე სხვა მთავრობა შესძლებს დაამყაროს რუსეთთან მეგობრული ურთიერთება. თუ ხელშეკრულება არ იქნა დამტკიცებული, ამას შეუძლია გამოიწვიოს სამრეწველო შეთანხმება რუსეთსა და გერმანიის შორის, რომელთაც შეუერთდება აგრეთვე საფრანგეთიც. ასეთ შეთანხმებას შედეგად მოჰყვება ჩვენი საწარმოო მუშაობის გაუარესება.

ტრედ-იუნიონების კონგრესის მდივანმა ბრომლეიმ მიტინგზე განაცხადა:

„ვფიქრობთ, რომ ჩვენ მოვალეობას შეადგენს უზრუნველვყოთ მნიშვნელოვანი სავაჭრო ურთიერთობა სხვა ქვეყნებთან, მაგრამ თუ ჩვენ უარს ვიტყვით ვაჭრობაზე ხალხთან—მხოლოდ იმიტომ, რომ არ მოგვწონს მისი მთავრობა, **ჩვენი შესაძლებლობანი საერთაშორისო ვაჭრობის დარგში მნიშვნელოვნად შემცირდება**“.

ლიბერალების პოზიცია

ლონდონი, 22 სექტ. შესდგა კაბინეტის სხდომა; ეს პირველი სხდომაა პარლამენტის დათხოვნის დროიდან. რეიტერის სააგენტოს ცნობებით, სხდომის მოწვევის მთავარი მიზეზი იყო ირლანდიის საკითხი, რომელიც დაკავშირებულია პარლამენტის მომავალ არჩევნებთან.

შემდეგ რეიტერის სააგენტო იტყობინება: „მთავრობას მოელის სერიოზული დაბრკოლება ინგლის-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების საკითხში“. მაგრამ ეს საკითხი განხილული არ იქნება 28 ოქტომბრამდი. გადამწყვეტათ ითვლება ასკვიტის პოზაცია, რომელიც გამოიხატა მის უკანასკნელ წერილში; ასკვიტი ლიბერალური პარტიის სახელით საბოლოოთ კიცხავს ხელშეკრულებას. მთავრობა იმ ფაქტის წინაშეა დაყენებული, რომ ლიბერალები, ზოგიერთის გამოკლებით, უარყოფით პოზიციას დაიჭერენ სესხის საკითხში. მთავრობის წრეების იმედები, რომ ლიბერალები მხარს დაუჭერენ ხელშეკრულებას და შეეცდებიან მხოლოდ შესწორებები შეიტანონ არა დამაკმაყოფილებელ მუხლებში, საბოლოოთ გაფანტულია. მაგრამ, მიუხედავათ იმ მნიშვნელოვანი დაბრკოლებისა, რომელიც წინ ელობება მთავრობას, ლიბერალები მაინც შესაძლებლათ არ სთვლიან ახალ საყოველთაო არჩევნების დანიშვნას. იმ შემთხვევაში, თუ მთავრობა გადაწყვიტავს გადაშინჯოს საბჭოთა კავშირთან ჩამოვარდნილ სადაო საკითხების ლიკვიდაციის მეთოდი, მაშინ შეიძლება საჭირო გახდეს მოლაპარაკების განახლება ბრიტანეთის მინისტრებსა და საბჭოთა წარმომადგენლებს შორის.

ხელშეკრულების გარშემო

ლონდონი, 22 სექტ. ქალაქ გულში მიტინგზე, პარლამენტის წევრმა ლიბერალმა კენვორტიმ განაცხადა: **საბჭოთა კავშირისთვის მისაცემი სესხი ნავარაუდევია 30 მილიონი გირ. სტერლინგით. ეს თანხა მიეცემა საბჭოთა კავშირს ნაწილ-ნაწილათ ხუთი წლის განმავლობაში.**

ლონდონი, 22 სექტ. ინგლის-საბჭოთა კავშირის საპარლამენტო კომიტეტმა გამოუშვა ბროშიურა, რომელშიაც ათავსებენ წერილებს მუშათა პარტიის მოღვაწენი პერსელი და მორელი; უკანასკნელები ეკუთვნიან მუშათა დეპუტატების იმ ჯგუფს, რომელიც ჩაერია ინგლის-საბჭოთა კავშირის მოლაპარაკებაში ამ მოლაპარაკების დროებით ჩაშლის შემდეგ. დასახელებული მოღვაწენი სწერენ.

„ინგლის-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულება ლიკვიდაციას ახდენს ან ითვალისწინებს იმ საკითხების ლიკვიდაციას, რომელიც ამწვავებდა ინგლის-საბჭოთა კავშირის ურთიერთობას და ხელს უშლიდა ორივე მხარეს განევითარებიათ მშვიდობიანი თანამშრომლობა. წარმოების და ვაჭრობის დარგში. ხელშეკრულება არსებით უპირატესობას აკუთვნებს ბრიტანეთის მეთევზეებს რუსეთის წყლებში თევზის ჭერის დროს და საშუალებას აძლევს ინგლისის მოქალაქეებს, რომელნიც პრეტენზიებს აცხადებენ, მიიღონ დაკმაყოფილება. გარდა ამისა, იგი ამყარებს სავაჭრო ურთიერთობას ინგლისისათვის უპირატესობის მიცემის საშუალებით. ხელშეკრულებას ეწინააღმდეგებიან ისინი, ვინც მტერია იმისი, რომ ინგლისის მუშათა კლასი ილტვოდეს თავისუფლების მოპოებისაკენ“.

ლონდონი. 22 სექტ. ცნობილმა ეკონომისტმა პეიშმა ქალთა ლიბერალურ ფედერაციის მიტინგზე **მხარი დაუჭირა საბჭოთა კავშირისათვის სესხის მიცემას, ვინაიდან ეს სესხი დახმარებას გაუწევს ინგლისის მრეწველობას და ხელს შეუწყობს ვაჭრობის განვითარებას.**

საქმე ნავთშია და არა სხვა რამეში

პარიზი. 22 სექტემბერი. „პტი ჟურნალ“-ი ანვითარებს იდეას, რომლის მიხედვით საქართველო და ზოგიერთი სხვა ეროვნული უმცირესობანი კავკასიაში უნდა შეადგენდენ დამოუკიდებელ სახელმწიფოს—მთლიან ერთა ლიგის წევრს. გაზეთი აცხადებს: „რა დიდი მატერიალური ძალა ექნებოდა ერთა ლიგას, თუ ის უზრუნველჰყოფდა თავის კონტროლს ნავთის იმ წყაროებზე, რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვთ მშვიდობიანობის უზრუნველჰყოფის საქმეში“.

კონტრ-რევოლიუციონერთა ზრახვები

ვარშავა, 22 სექტ. ვარშავის ქალაქის თვითმართველობის მიერ საქართველოს აჯანყებულთა სასარგებლოდ 10.000 ოქროს მან. გადადების გამო, საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა ამხ. ობოლენსკიმ პოლონეთის გარეშე საქმეთა სამინისტროს პროტესტი განუცხადა საქართველოს კონტრ-რევოლიუციონერებისათვის დახმარების გაწევისა და საბჭოთა კავშირის შინაურ საქმეებში ჩარევის წინააღმდეგ.

გარეშე საქმეთა სამინისტროს პოლიტიკურ დეპარტამენტის დირექტორმა მორავსკიმ განუცხადა ობოლენსკის, რომ **პოლონეთის მთავრობა კიცხავს ვარშავის ქალაქის თვითმართველობის გამოსვლას და არავითარ შემთხვევაში არ სდგას იმ რეზოლიუციის თვალსაზრისზე, რომელიც ქალაქის გამგეობამ მიიღო.**

პარიზი, 22 სექტ. ერთა ლიგის პოლიტიკურმა კომისიამ იმსჯელა რა საფრანგეთის წინადადებაზე საქართველოს მდგომარეობის ვრცლად განხილვის შესახებ, არავითარი ოფიციალური დადგენილება არ გამოიტანა. კომისიამ გამოსთქვა არაოფიციალური აზრი, რომ სახელმწიფოებს, რომლებმაც იცნეს საქართველო და საბჭოთა მთავრობა, შეეძლოთ სარგებლობა მოეტანათ თავისი ჩარევით, რათა მოეგვარებიათ საბჭოების და საქართველოს კონფლიქტი.

უკანასკნელი ცნობები

კომენტარიები ასკვიტის წერილის გამო.

ლონდონი, 23 სექტემბერი. ლოიდ-ჯორჯთან ახლო მდგომი გაზეთი „დეილი ხრონიკლი“ შემდეგ კომენტარიებს უკეთებს ასკვიტის წერილს, რომელშიაც უკანასკნელმა ჩამოაყალიბა თავისი შეხედულება ინგლის-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების შესახებ:

„ხელშეკრულება ითვალისწინებს უზრუნველყოფილ სესხის მიცემას იმ მთავრობისათვის, რომელსაც ჯერ კიდევ არ უცვნია თავისი ვალები, ხოლო ამის ნაცვლად კი ის იძლევა გაურკვეველ პასუხს, რომ თუ იცნობს ამ ვალებს ნაწილობრივ, ეს მოხდება მხოლოდ ინგლისში აღებულ ფულების დახმარებით. მაგრამ ჩვენ არა ვართ პრინციპიალურად წინააღმდეგი იმისა, რომ რუსეთს სესხი მიეცეს და ვფიქრობთ, რომ ასკვიტი და ლოიდ-ჯორჯი დასთანხმდებოდენ ამაზე, თუ სესხი იქნებოდა სათანადოთ უზრუნველყოფილი და შეადგენდა საერთო დამაკმაყოფილებელ შეთანხმების ნაწილს“.

„ვესტმინსტერ გაზეტ“ ვერ ბედავს ლიბარალებისათვის მოქმედების გარკვეული გეგმის წარდგენას. ის ცდილობს მხოლოდ გავლენის მოხდენას მაკდონალდზე და მიუთითებს მას მისი პოლიტიკის „უაზრობაზე“.

ასკვიტის ორგანო „დეილი ნიუზ“ სწერს: „ყველაზე უფრო სავალალო ამ ექსპერიმენტში არის ის გარემოება, რომ მისგან გამოძრომა იმდენადვე ძნელია, რამდენადაც უაზროა მისი გაგრძელება“. ამავე გაზეთის პოლიტიკურ კორესპონდენტს უფრო შესაძლებლად მიაჩნია ის, რომ ლიბერალები პარლამენტში ხელშეკრულების გარშემო გამართულ კამათის დროს წარადგენენ რეზოლიუციას მსხვილი სესხის წინააღმდეგ და ამას დაასაბუთებენ ამ სესხის პირობების და რაოდენობის გაურკვევლობით. კორესპონდენტი ფიქრობს, რომ რამდენიმე კვირით გადადება საშუალებას მისცემდა მთავრობას შეემუშავებია უფრო გარკვეული გადაწყვეტილებები.

საუბარი რაკოვსკისთან და უაიზთან

ლონდონი. 23 სექტ. „მანჩესტერ გარდიენ“ ბეჭდავს თავის კორესპონდენტის საუბარს რაკოვსკისთან, რომელიც აღნიშნავს, რომ საბჭოთა მთავრობა ასრულებს თავის ვალდებულებებს, მას შეუძლია რეალური გარანტიების მიცემა სესხისათვის, რომლის მეტი ნაწილი დახარჯული იქნება ინგლისში.

ამავე დროს გაზეთი ბეჭდავს საუბარს „ცენტროსოიუზის“ იურისკონსულთან უაიზთან, რომელიც პასუხს აძლევს ხელშეკრულების კრიტიკოსს, უაიზი აცხადებს: „თუ ლიბერალებს საერთოდ არ სურთ არავითარი ხელშეკრულება, მათ შეუძლიათ უარყონ სესხის პროექტი, ვინაიდან ცხადია, რომ ჩვენთვის შეუძლებელია ხელშეკრულება, თუ მას მოაცლით დასაყრდენს“

შიში მუშათა ენტუზიაზმის წინაშე.

ლონდონი, 23 სექტ. ცნობილი გარვინი სწერს ზომიერ კონსერვატორების ორგანო „ობსერვერ“-ში; „თუ მთავრობამ გადასწყვიტა მიიღოს გამოწვევა რათაც არ უნდა დაუჯდეს და საქმე საარჩევნო ყუთამდე მიიყვანოს, ჩვენ შევხვდებით მუშათა წრეებში უდიდეს ენტუზიაზმს.

მთავრობის გუშინდელ სხდომაზე.

პარიზი, 23 სექ. ლონდონის გაზეთების ცნობით, მთავრობის გუშინდელ სხდომაზე მაკდონალდის თავმჯდომარეობით იხილავდენ უმთავრესად საკითხს ირლანდიის და ინგლის-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების შესახებ.

ბრძოლობა პოლონეთში და რუმინეთში

ვარშავა, 22 სექტემბერი. **უკანასკნელი დღეების განმავლობაში ადგილი ჰქონდა შეიარაღებულთა გამოსვლებს კოველის, დუბნოს, ლუცკის, ვილნოს და ტარნოპოლის რაიონებში.**

ვენა, 22 სექტემბერი. რუმინეთის „ოხრანკის“ ორგანო „უნივერსალი“ იტყობინება, თითქოს უკრაინელი პარტიზანები 16 სექტემბერს თავს დაესხენ ტატარ-ბუნარს, ჩებნიშმოს და ვილკოვს, სადაც გადასჭრეს ტელეფონის და ტელეგრაფის მავთულები. პარტიზანებსა და რუმინეთის ჟანდარმერიის შორის დაიწყო საშინელი ბრძოლა, რომლის დროსაც სოფლების მცხოვრებლები დახმარებას უწევდენ პარტიზანებს. ბრძოლის დროს მოკლული და დაჭრილი იქნა მრავალი. ამავე დროს გაზეთი იტყობინება 40 უკრაინელის დაპატიმრების შესახებ, რომლებიც, თითქოს, ბოლშევიკურ აგიტაციას ეწეოდენ ზოგიერთ ადგილებში.

გერმანიის კომპარტიაში

ბერლინი, 22 სექტ. ამ დღეებში მოხდა კომპარტიის ბერლინის ორგანიზაციის აქტიურ მომუშავეთა კონფერენცია.

მოხსენებით გამოვიდენ: რუტ ფიშერი, საფრანგეთის კომპარტიის წარმომადგენელი — სემარი, ინგლისის კომპარტიის წარმომადგენელი პოლეიერი.

ამხ. სემარმა თავის სიტყვაში ხაზგასმით განაცხადა, რომ **პროფმოძრაობის მთლიანობის აღდგენა წარმოადგენს ამჟამათ ყველაზე მნიშვნელოვან პოლიტიკურ ამოცანას** შემდეგ მან აღნიშნა სასწრაფოდ წარმოებული რეორგანიზაცია საფრანგეთის კომპარტიისა და აუცილებლათ **აღიარა საფრანგეთის და გერმანიის კომპარტიების უფრო მჭიდრო დაახლოვება.**

რუტ ფიშერმა თავის მოხსენებაში მიუთითა იმპერიალისტურ ზრახვების წინააღმდეგობათა ხელ-ახალ გამწვავებაზე ჩინეთში, მაროკკოში და სუდანში. მან აღნიშნა, რომ გაზ. „ფორვერტსი“ თავგამოდებით იცავს თეთრგვარდიელთა შეიარაღებულ გამოსვლას საქართველოში, რომელთაც ფინანსიურ დახმარებას უწევენ ერრიო და მაკდონალდი. **იმპერიალისტები ამზადებენ ახალ ინტერვენციას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.** გერმანიაში ბურჟუაზია ემზადება სასტიკ ბრძოლისთვის მუშების წინააღმდეგ.

კონფერენციამ მიიღო რეზოლიუცია, რომელშიც ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ მშვიდობიანობის ნიღაბ ქვეშ მზადდება ახალი იმპერიალისტური შეტევა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. გერმანიის პროლეტარიატი, ლონდონის შეთანხმების წყალობით, სათამაშო ბურთად გარდიქცა საერთაშორისო ბურჟუაზიის ხელში. **რომ გერმანიის პროლეტარიატმა თავი დააღწიოს ამგვარ მონობას—საჭიროა დაიწყოს სასტიკი იერიში ბურჟუაზიის წინააღმდეგ კომპარტიის ხელმძღვანელობით.**

რეზოლიუცია თანხმობას გამოსთქვამს კომპარტიის ცეკას ბრძოლის შესახებ ოპორტიუნისტულ გადახრათა წინააღმდეგ. კერძოთ კი ადასტურებს შუმახერისა და მის მომხრეების პარტიიდან გამორიცხვას.

საერთაშორისო მუშათა მოძრაობა

გერმანია.

გერმანიის კომპარტიის და კომკავშირის მოწოდება.

მოსკოვი, 22 სექტემბერი. **გერმანიის კომუნისტურმა პარტიამ, კომკავშირმა და სხვა რევოლიუციონურმა ორგანიზაციებმა და აგრეთვე მუშათა საერთაშორისო დახმარების საზოგადოებამ საერთაშორისო პროლეტარიატს მიმართეს მოწოდებით,** რომელშიაც აღნიშნულია, რომ დოუესის გეგმა მძიმე ლოდათ დააწვება, უპირველეს ყოვლისა, **გერმანიის მშრომელ მასებს.**

სიძვირე იზრდება, შრომის ხელფასი კლებულობს, სამუშაო დღე იზრდება, უმუშევრობა ძლიერდება. გაჭირვება, სიმშილი და სიღარიბე ემუქრება მრავალ მილიონ გერმანიის მუშებს და მათ ოჯახებს.

მუშათა საერთაშორისო დახმარების საზოგადოება აცხადებს გერმანიის მუშების დახმარების ახალ, მეოთხე კამპანიას. გაჭირვება ახლოვდება, საჭიროა საჩქარო დახმარება.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი.

ნოვგოროდი, 23 სექტემბერი. ნოვგოროდის საგუბერნიო პარტისმა უყოფ. მემამულის პუტილოვის არქივში აღმოაჩინა პუშკინის დაუბეჭდავი ხელთნაწერების მდიდარი კოლექცია რუსულ და ფრანგულ ენებზე.

საბჭოთა კავშირის პრესის უზრუნველყოფა ქაღალდით

მოსკოვი. 23 სექტ. სახელმწიფო გეგმათა სამმართველოში შესდგა თათბირი საბჭოთა კავშირის პრესის ქაღალდით უზრუნველყოფის შესახებ. თვიური მოთხოვნილება დაწეულ ქაღალდზე შარშან საბჭოთა კავშირის ყველა გაზეთებისათვის საშუალოდ უდრიდა 300,000 ფუთს. სულ 1923 წლის ოქტომბრიდან 1924 წლის ოქტომბრამდე საბჭოთა კავშირის გაზეთებზე დახარჯულა 3662,000 ფუთი დაწეული ქაღალდი. ფურცელი ქაღალდი 1924—25 წლისათვის გამოანგარიშებულია დაახლოვებით 1,000.000 ფუთის რაოდენობით. საბეჭდი ქაღალდი ამავე ვადაში დაიხარჯება 2,200,000 ფუთი.

მელიორაცია.

მოსკოვი. 23 სექტემბერი. მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატის ცნობებით, სამელიორაციო მუშაობა ყველა მოუსავლიან ადგილებში, გარდა ურალის ოლქისა და კალმიკთა რესპუბლიკისა, გაძლიერებულად სწარმოებს. ადგილი აქვს გლეხების მიერ შინაური საქონლის გაყიდვის შემთხვევების შემცირებას და ხორცის ფასების ზრდას.

საქონლის საერთო მდგომარეობა სამხრეთ აღმოსავლეთში საგრძნობლად გაუმჯობესდა. საქონლის იაფ ფასებში გაყიდვა თითქმის შეწყდა. ფასები საქონელზე აწეულია ნორმალურ დონემდე, ვინაიდან შესყიდვას აწარმოებს კოოპერაცია. სამხრეთ-აღმოსავლეთში აკრძალულია ჯიშიანი საქონლის დაკვლა და ხორცად გაყიდვა, აგრეთვე მუშა საქონლის სხვა ოლქებში გადაყვანა.

ლენინის სახელობის ფონდი

მოსკოვი. 23 სექტ. **სრულიად რუსეთის ცაკის პრეზიდიუმმა დაადგინა დაარსდეს ლენინის სახელობის საერთო რესპუბლიკანური ფონდი უპატრონო ბავშვებისათვის დახმარების აღმოსაჩენად.** ავტონომიურ რესპუბლიკების და იმ ოლქების ცაკებს, რომლებიც შედიან საბჭოთა რუსეთის შემადგენლობაში, აგრეთვე საოლქო და საგუბერნიო აღმასკომებს წინადადება მიეცათ დაარსონ ლენინის სახელობის ფონდები აღმასკომების პრეზიდიუმებთან უპატრონო ბავშვებისათვის დახმარების აღმოჩენის მიზნით.

ჩვენი წარმოება

კუიბიშევის მოხსენება წითელ დირექტორების კრებაზე

მოსკოვი, 23 სექტ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახ. კომისარმა ამხ. კუიბიშევმა მოსკოვის წითელ დირექტორების და მუშაკების კრებაზე გააკეთა მოხსენება შრომის ნაყოფიერების შესახებ; მომხსენებელმა აღნიშნა, რომ პროდუქციის მომატება 1923—1924 წ. წ. მრეწველობის ყველა დარგებში შარშანდელთან შედარებით უდრის 24,5 პროც. **მრეწველობის საერთო შემოსავალი აგვისტოში აღემატება ივლისისას 6 პროც. ხოლო შარშანდელი წლის აგვისტოსას 31 პროც.** მუშა-ხელი აგვისტოში მრეწველობის ყველა დარგებში გაიზარდა შედერებით ივლისთან 4 პროცენტით.

ლითონის მრეწველობის საწარმოო პროგრამა ფართო მოხმარების საგნების გამოსაშვებად გადიდებული იქნება მომავალ წელს 30 პროცენტით. დაახლოვებით ასეთივე პროგრესით განისაზღვრება პროდუქციის ზრდა საბჭოთა კავშირის მრეწველობის სხვა დარგებშიაც.

თვითეული მუშის შრომის ნაყოფიერება დღემდის რჩება უფრო ნაკლები, ვიდრე ომამდე. როგორც საერთო წესი, მთელ საბჭოთა კავშირში აღნუსხულია, რომ ხელფასი პროცენტულად აღემატება შრომის ნაყოფიერებას. შრომის ნაყოფიერების შემცირების ერთ-ერთ მიზეზად ითვლება თავისუფალ დღეების დიდი რაოდენობა. 1920 წელს მუშები მუშაობდენ 228 დღე, 1921 წ.—221, 1922 წელს—257 დღე, 1923 წ. 260 დღე.

სამუშაო დროის დატვირთვა ჯერ კიდევ არ არის აყვანილი ნორმამდე. საშუალო სამუშაო დრო მრეწველობის ყველა დარგებში ფაქტიურად 6 ნახ. საათს არ აღემატება. დონის აუზის ეკატერინინის რაიონში სამუშაო დრო მხოლოდ 46 პროცენტითაა გამოყენებული; დანარჩენ დროს მუშა ჰკარგავს იძულებით გაჩერებაზე მისგან დამოუკიდებელ მიზეზების გამო და გაჩერებაზე მისივე მიზეზით.

ჩვენი კამპანიის მთავარი ლოზუნგიაო, განაცხადა ამხ. კუიბიშევმა, 8 საათის სამუშაო დღის სრული დატვირთვა, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ ვერ დავაგროვებთ იმ საშუალებებს, რომელიც საჭიროა დასავლეთ ევროპის მრეწველობისათვის მეტოქეობის გასაწევად.

ერთ-ერთ სერიოზულ ფაქტორად, რომელიც გავლენას ახდენს პროდუქციის გაძვირებაზე, ითვლება ხელფასის ზედნართი, რომელიც ზოგჯერ თვით ხელფასის 63 პროცენტს აღწევს. გადასახადები სოციალურ დაზღვევისათვის, საფაბრიკო-საქარხნო სასწავლებელთა სანიტარულ საწოლების, კულტ-მუშაობისათვის ბინების, ადგილკომების და მუშათა კომიტეტების შესანახად კი ხარჯები მნიშვნელოვნად აღემატებიან ამ მიზნებისათვის ნავარაუდევ ნორმალურ განაკვეთს. ეს ხარჯები, რა თქმა უნდა, ხელშეუხებელი უნდა დარჩეს, მაგრამ საჭიროა ამ ხარჯების სისტემის მოწესრიგება და ამ მხრივ მომავალ სამეურნეო წელს მიღებული იქნება სათანადო ზომები.

მეორე ფაქტორად, რომელიც გავლენას ახდენს პროდუქციის გაძვირებაზე, ითვლება დამხმარე პერსონალის დიდი რიცხვი ასეთ ტვირთს ჩვენი მრეწველობა დიდხანს ვერ გაუძლებს.

შრომის ნაყოფიერების ასაწევ ღონისძიებად ამხ. კუიბიშევი სთვლის შრომის სწორ ორგანიზაციას წარმოებაში; **ხრული დატვირთვა და ტეხნიკურ მოწყობილობის გაუმჯობესება, წარმოების კონცენტრაცია, სწორი რიცხვობრივი შეფარდების დაწესება მწარმოებელ და დამხმარე მუშათა შორის.**

ამხანაგი კუიბიშევი აუცილებლად სთვლის ხელფასის თავის დროზე გასტუმრებას და სამეურნეო ორგანოების შორის ანგარიშების გასწორებას და ხაზს უსვამს, რომ პროფესიონალისტებმა სამეურნეო ორგანოების მეთაურებთან ერთად უნდა აწარმოვონ დაუზოგავი ბრძოლა ხელფასის გასტუმრების დაგვიანების წინააღმდეგ.

მოხსენების შემდეგ გაიმართა გაცხოველებელი კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს წითელმა დირექტორებმა, მუშკორებმა და პროფკავშირთა მუშაკებმა.

უცხოეთის ცხოვრება

საფრანგეთი

„ეს არის უკანასკნელი ბრძოლა“...

ასეთი სათაურით—რომელიც თავის მხრივ არის ამ რამოდენიმე ხნის წინათ პარიზში გამოცემულ წიგნის სათაური—მოთავსებულია ერრიოს გაზეთში („ლე კოტიდიან“) მეთაური წერილი, რომელიც ეკუთვნის ცნობილ პუბლიცისტს ფერდინანდ ბიუისსონს.

რაზე სწერს ის?

საფრანგეთის კომუნისტური პარტიის წევრმა, საქმაოთ ცნობილმა მწერალმა-ქალმა, მადელეინა მარქსმა, დაჰყო საბჭოთა რუსეთში ექვსი თვე და დაწერა მთელი სერია წერილების, რომლებიც იბეჭდებოდა ნაწილობრივ პარტიის ჟურნალ „კომუნისტურ ბიულეტენი“-ში და პარტიისავე ცენტრალურ ორგანო „ლიუმანიტე“-ში. (მათ შორის ერთი, რომელიც შეეხებოდა ლენინს, თავის დროზე ჩვენ გამოვაქვეყნეთ „ჩირაღდანში“). სწორეთ ამ წერილების კრებულზე, რომელიც გამოუშვა პარტიულმა გამომცემლობამ, სწერს ბიუისსონი.

ამ უკანასკნელის წერილი საინტერესოა იმდენად, რამდენადაც მაჩვენებელია იმისი, რომ საფრანგეთის ეგრედწოდებული „საზოგადოებრივი აზრი“ სცდილობს დაიკმაყოფილოს თავისი „ცნობისმოყვარეობა“ რუსეთის საკითხში უფრო სხვანაირი წყაროებით, ვინემ დღემდე აჩეჩებდენ მას რუსეთის თეთრგვარდიელები და საფრანგეთის რეაქციონური წრეები და რამდენადაც ავტორის „გაბედული“ გამოსვლა რადიკალური ბურჟუაზიის პრესაში კომუნისტის მიერ დაწერილი წიგნის შინაარსის (რასაკვირველია, რუსეთის მდგომარეობის სწორი ფაქტიური მასალის და არა ბოლშევიკური პრინციპების შესახებ) გასავრცელებლათ მოწმობს იმაზე, თუ როგორ მოთხოვნილებას უყენებენ ამ საკითხში თავის მეთაურებს თვით ბურჟუაზიული მკითხველებიც.

„აი პატარა, მაგრამ ბევრის მეტყველი წიგნი—ასე იწყებს ავტორი თავის წერილს. ფართოდ გავრცელებულმა დიდმა ბურჟუაზიულმა გაზეთებმა სიჩუმით აუარეს მას გვერდი. ამ წიგნმა დააფრთხო ბურჟუაზია. მისი გამოსვლის შესახებ ხსენებულმა გაზეთებმა ფასიანი განცხადებაც კი არ მოათავსეს თავიანთ ფურცლებზე, მხოლოდ ჩვენი გაზეთი ბედავს მიმართოს თავის მკითხველებს და ურჩიოს მათ: წაიკითხეთ ეს წიგნი“.

ავტორი აცნობს თავის მკითხველებს წიგნის შინაარსს. მას მოჰყავს იქიდან ფაქტიური მასალა იმის შესახებ, თუ როგორ გარდაქმნა მშრომელი მასა საბჭოთა წესწყობილებამ, როგორი ბრწყინვალე მომავლის სურათები გადაუშალა მას წინ ოქტომბრის რევოლიუციამ, როგორ განავითარა მასში კოლექტიური, თავისი საქმისათვის თავგანწირულების გრძნობა, როგორ დარაზმა პარტიამ და ხელისუფლებამ ეს მასა, ჩაუნერგა მას გულში დისციპლინა, აამხედრა შინაური და უცხოელი ბურჟუაზიის წინააღმდეგ. ავტორს მოჰყავს წიგნიდან რუსი მუშების ასეთი სიტყვები, რომლებითაც მათ მიმართეს წიგნის ავტორს: **„როგორ! ნუ თუ არიან უცხოეთში ისეთები, რომლებიც ფიქრობენ, რომ ჩვენში შეიძლება არსებობდეს სხვა ხელისუფლება, ვინემ ხელისუფლება საბჭოების“.** და ავტორი მოუწოდებს თავის თანამემამულეებს ჩაუფიქრდნენ ამ სიტყვებს.

თავისთავად ცხადია, რომ საფრანგეთის წვრილი ბურჟუაზიის წარმომადგენლისთვის ბოლშევიზმი და საბჭოთა სისტემა მიუღებელია. მას მიუღებლად მიაჩნია (და მისი თვალსაზრისით სრულიად სამართლიანადაც) ყოველივე ეს ბურჟუაზიულ რესპუბლიკანელებისთვის. ის აშკარად და დაუფარავად აღიარებს შემდეგს:

„რასაკვირველია, ეს წიგნი ვერ შეგვაცვლევინებს აზრს ბოლშევიზმის შესახებ. ის ვერ გასცემს პასუხს იმ კითხვებზე, რომლებსაც უყენებს მას რესპუბლიკანელის სინიდისი, ვერაფერს იტყვის იმ პრინციპებზე, რომლებიც აღიარა „ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაციამ“. მაგრამ ამ წიგნშია წარმტაცი სურათები მომავლის, წიგნიდან ისმის სულ სხვაგვარი ზარის რეკვა ყველა იმათთვის, ვისაც წარმოდგენილი აქვთ რევოლიუცია იმ კაცის სახით, რომელსაც მუდამ გასისხლიანებული დანა უკავია პირში. თუმცა ის სიმართლეც უნდა ვაღიაროთ, რომ ესენი არც საფრანგეთის რევოლიუციას იცნობენ უკეთესათ, რადგან მათ ჰგონიათ, რომ ის უკვე გათავდა“.

დანამდვილებით შეიძლება ვთქვათ, რომ ეს შედარებით „გაბედული“ კილო არ შერჩება ბურჟუაზიულ პუბლიცისტს მისი კლასის განსაცდელის ჟამს, როდესაც საფრანგეთის პროლეტარიატი და ღარიბი გლეხობა ხელს სტაცებს იარაღსა და „რუსული მეთოდით“ შეუდგება **პრაქტიკულად** იმის „მტკიცებას“, რომ საფრანგეთის რევოლიუცია ჯერ კიდევ მართლა არ არის გათავებული. ცხადია, რომ ასეთ პირობებში ბ-ნი ბიუისსონები სხვანაირათ ამეტყველდებიან და „ამღერდებიან“, მაგრამ დღესდღეობით კი ისინი საკმაო „გამბედაობას“ იჩენენ, როდესაც წვრილ და საშუალო ბურჟუაზიულ გაზეთში თავის მკითხველებს ურჩევენ: წაიკითხეთ რა მოხდა ჭეშმარიტათ რუსეთში და როგორ არის ის მოთხრობილი კომუნისტ-მწერალ ქალის წიგნშიო.

ასეთ სულისკვეთებასთან დაკავშირებით არ არის გასაკვირი, როდესაც საფრანგეთის ოფიციალური წრეები დაჟინებით ამზადებენ დღეს საბჭოთა კავშირის იურიდიულად ცნობას.

ამხ. გრიგოლ როგავა

შენი სისხლი მოეწყურა
მტერს მუხთალს და გაიძვერას
და შენ მსხვერპლად შეეწირე
მშრომელთ მიზანს, მაშვრალთ კერას!..

—

და სიმართლის სამსხვერპლოზე
შენ გმირულად დასდე თავი;
მუხთალ ბრბოთა ბინძურ ხელით
შენ არ იყავ მოსაკლავი!

—

მაგრამ მტერმა არ დაგინდო
და უმართლოდ შეგიწირა;
ჩვენ უშენოდ დაგვაობლა,
დაგვამწუხრა, აგვატირა.

—

მაგრამ მაინც საფლავთანაც
გამარჯვებას მოგახარებთ
და შენს ანდერძს—ბრძოლის დროშას
სიკვდილამდე ჩვენ ვატარებთ!..

ი. გ—ია.



ამხ. გრ. როგავა

---

*) ზუგდიდის სამაღმასკომის თავმჯდომარე, რომელიც 29 აგვისტოს ბანდიტებთან ბრძოლაში გმირულად დაიღუპა.

პარტიული ცხოვრება

ფართო უპარტიო კონფერენცია

საქართველოს კომპარტიის ტფილისის ორგანიზაციის **ქალაქის რაიკომი** იტყობინება, რომ დღეს ოთხშაბათს, 24 სექტემბერს, საღამოს 6 საათზე, სახელმწიფო ოპერის შენობაში დანიშნულია **ქალაქის რაიონის ფართო უპარტიო კონფერენცია.**

დღის წესრიგი: 1) საბჭოთა კავშირის საგარეო და შინაური მდგომარეობა (მამია ორახელაშვილის მ სენება). 2) შრომის ნაყოფიერება სამუშაო ხელფასი (სემკოვის მოხ ნება). 3) ცენტრალური საკონტროლ კომისია, მუშათა და გლეხთა ინსპე ცია და საბჭოთა აპარატი (ა. ნაზ რეტიანის მოხსენება). 4) მიმდინარ საქმეები.

პასუხისმგებელი მდივანი:
გ. სტურუ

პარტ მუშაობა 1 ლეგიონში

მაისის, ივნისის და ივლისის თვეების პარტ-პოლიტ. საგანმანათლებლო მუშაობის, პირველ თვის განმავლობაში ხელი შეუშალა, როგორც დემობილიზაციამ ისე მობილიზაციის პროცესმა. ამას ზედ დაერთო უპოლიტხელთა ხშირი ცვლა, რომელიც გამოწვეული იყო ახალ ლეგიონების შტატის შესავსებად და ლეგიონის საბანაკოთ გასვლით. საგრძნობი კვალი დაასვა, როგორც პარტიულ ისე პოლიტ-საათის ნორმალურ მსვლელობას, მაგრამ, როგორც კი შეწყდა ხსენებული პროექტი იმ დღიდანვე მუშაობამ მიიღო გეგმიანი ხასიათი.

დემობილიზაციამ კომუჯრედების კრებების ნაცვლად გამოიწვია საერთო პარტკრებების აუცილებლობა, პარტ-ამხანაგების სიმცირის და პოლიტ-საათის სრულიად შეჩერების გამო ზოგიერთ ასეულებში, მაგრამ, როდესაც კი ახალ მობილიზაციით შევსებულ იქნა ნაწილი პოლიტ-საათიც თავის კალაპოტში ჩადგა. დემობილიზაციის პირველ პერიოდში ნაწილებმა მიიღო ორმოც (40) კაცამდე პარტ-წევრები, რომლისთვის შემდგარი იყო ცალკე ასეული. მასში გაცხოველებული მუშაობა სწარმოებდა, როგორც სამხედროს მხრივ ისე პარტ-პოლიტ. საგანმანათლებლო დარგში მობილიზაციის დამთავრების შემდეგ ხსენებული ნაწილი დაიშალა თანახმად პოლიტ-განყოფილების განაწილებისა, ამხანაგები დანაწილებულ იქმნენ სხვა და სხვა ლეგიონებზე; პირველ ლეგიონს კი ერგო 10 კაცამდე. საერთო მობილიზაციაში პარტ-ამხანაგებს საგრძნობი ძალა მოყვა, რამაც წამოჭრა საკითხი ისევ ახალ ასეულების კომუჯრედების ჩამოყალიბება. პოლიტიკური მხრივ ახალ-წვეულების ასეულებში განაწილების დროს ყურადღება ექცეოდა, რომ ერთ მაზრიდან მოსულნი განაწილებულიყო ყველა ასეულებში, რაც თავისებურ კვალს დააჩნევდა პოლიტ-საათს. ასეთმა განაწილებამ კარგი შედეგი მოგვცა. თავიდანვე პარტ-პოლიტ. განმანათლებელ დარგში მომზადებულად შეხვედრამ და სამხედრო ნაწილებთან მჭიდრო შეხამებულმა მუშაობამ ლეგიონი ამ მხრივ აყენა ნორმალურ კალაპოტში.

ლეგიონის ბიურო-კოლექტივს აე თებს ხუთი ასეულების მასშტაბი ჩამოყალიბებული კომუჯრედი, რ მელშიც პარტიული ძალა თავიდან პროპორციონალურიდ განაწილებუ იქმნა ასეულებზე. ლეგიონში ს ირიცხება კ. პ. წევრები, კანდიდ ტები და ა. კ. კავშირის წევრე ასოც (120) წევრებამდე. თანხმ ბიურო-კოლექტივის დადგენილები პარტიულ დღეთ დანიშნულია შაბა

დღის წესრიგს ნაწილობრივ ლე ლობს ბიურო-კოლექტივიდან წილს კი უმატებენ თვით მდივნე ასეულის ცხოვრებიდან.

პარტ-დავალებები კარგად სრუ დება კომუჯრედების მიერ საკონ როლო ფურცლების აღნიშვნით. კო უჯრედების კრებების თავმჯდომ რეობა და მოხსენებების გაკეთე სდგება მორიგეობით. ხსენებულ ს თვის განმავლობაში მოწვეულია პარ ტიულ ხასიათის კრებები: 1) ბიურო კოლლექტივის 9 სხდომები, გაირჩ 40 კითხვა, 2) კომუჯრედების მდივ ნების თათბირი 2. 7 კითხვა, 3) ს ერთო დახურული პარტ-კრებე ბი 7. გაირჩა 32 საკითხი, 4) ლ კომუჯრედის კრებები 7. საკითხი 35 მეორე რიგში კომუჯრედების ლი კრების ცხრილი აღნიშნულია მხოლოთ ერთ კომუჯრედში. [illegible] კომუჯრედებს თათბირათ აქვს კრებების რიცხვი ერთი და იგივე დღის წესრიგი.

ლეგიონს მჭიდრო კავშირი აქვს თბილისში მე-3-მე რაიონულ კომიტეტთან და მე-3-მე რაიონულ ახ. კავშირის ორგანიზაციებთან, აგრეთვე მიწადმოქმედების და განათლების კომისარიატის კომუჯრედებთან. კავშირი გამოიხატება ურთიერთ მორის კრებებზე და კამპანიებზე დასწრებით.

გამოყოფილია ორგანიზატორი მუშაობის საწარმოებლად დი აგრეთვე ახალ კ. კავშირის ორგანიზაციებთან მჭიდრო კავშირის დასაჭერად.

კავშირთა ძალა დაყოფილია ორ ჯგუფათ. პირველი, მეორე ტყვიის-მფრქვეველი, მზვერავის საკავშირო და უმწყობრო გუნდის, რომელთათვის დანიშნულია განსაკუთრებით დღე და საათი კრებებზე და მეცადინეობის საწარმოებლად.

ს.

კიდევ ერთი „ლენინის კუთხის“ საზეიმო გახსნა

18 სექტემბერს რკ. გზ. პროფგანათლების კურსებთან მოხდა ლენინის კუთხის საზეიმო გახსნა. იგი მოთავსებულია თბ. საუბნო პროფკავშირის შენობაში.

საღამოს 6 საათზე აუარებელმა ხალხმა მოიყარა თავი. კურსების მსმენელები იცავდენ წესრიგს. უკრავდა ორკესტრი. კურსების მსმენელების გუნდი ამხ. **კ. ჩარკვიანის** ხელმძღვანელობით ასრულებს სხვადასხვა რევოლიუციონურ სიმღერებს. საღამოს 7 საათზე საზეიმო კრება გახსნა ამხ. ილ. ვასაძემ (გაერთიანებული ადგილკომის თავმჯდომარე). მან მოკლე და აღფრთოვანებული სიტყვა წარმოსთქვა ლენინის კუთხის მნიშვნელობის შესახებ. ამხ. ვასაძემ უსურვა კურსების მსმენელებს მთელი თავის ცხოვრების და მომავალ მოღვაწეობის გაშუქება იმ დიადი ლამპარით, რომელსაც ლენინიზმი ეწოდება, „გაუმარჯოს ჩვენ გათვითცნობიერებას! გაუმარჯოს ლენინიზმს“! დაასრულა სიტყვა ამხ. ვასაძემ.

მუსიკა ასრულებს ინტერნაციონალსა და სამგლოვიარო მარშს ლენინის გარდაცვალებაზე.

კომუნისტური პარტიის 1-ლ რაიკომის სახელით მისალმა ლენინის კუთხის გახსნას ამხ. ვალ. ვაშაკიძე.

აღტაცებით ეგებება კრება მოხუც რევოლიუციონერს ამხ. ვაინერს. მკვეთრი ხმით იგი ულოცავს კურსების მსმენელებს ლენინის კუთხის გახსნას და უსურვებს მათ მტკიცედ დაიცვან ის მცნებები, რომელიც მუშათა კლასს მისმა საყვარელმა ბე ლადმა ილიჩმა დაუტოვა.

„სიკვდილი მტარვალებს, გაუმარჯოს შრომას“!—ხანჯლის ამოღებით დაამთავრა სიტყვა ამხ. ვაინერმა. კურსების მსმენელებმა აღტაცებული ტაშით ასწიეს მაღლა ამხ. ვაინერი.

შემდეგ ილაპარაკეს რკინის გზის კლუბებისა და კომუჯრედების წარმომადგენლებმა. ზეიმი 9 საათზე დასრულდა.

რას წარმოადგენს „ლენინის კუთხე“. მშვენივრად მორთული ოთახი, რომლის ერთ კედელზე წითელი მაუდით გაკეთებულია წითელი ვარსკვლავი, ამართულ ესტრადაზე სდგას ლენინის ძეგლი. იქვე წიგნები ლენინიზმზე და ლენინის ნაწერები. კედლები მორთულია სახელოვან რევოლიუციონერების სურათებით. სდგას ორი დიდი მაგიდა ჟურნალ-გაზეთებით. პირველ შეხედვისთანავე იგრძნობთ ოსტატის ხელს, რომელსაც გამახვილებული ფიქრი გემოვნება ჰქონია. ეს ყველაფერი უნდა მიეწეროს ამხ. ილ. ვასაძის მუშაობას.

ზეიმში იღებდა მონაწილეობას გუნდიც. განსაკუთრებით მშვენივრად შესრულდა გუნდმა „მოკვდა ლენინი, ტირის ქვეყანა“, რომელიც რამოდენიმეჯერ განიმეორეს, რამაც დამსწრე საზოგადოებაზე დიდი შთაბეჭდილება დასტოვა.

ინფ. ა. ულაძე.

ს-ბა „ხელები შორს ჩინეთისაგან“ ჩვენში

ჩინეთისათვის ძმური დახმარების გაწევის იდეა თანდათან უფრო ფართოთ იჭრება საქართველოს პროლეტარულ მასებში.

ანგარიშს უწევს რა ამ მოძრაობას, საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს განზრახვა აქვს მიმდინარე კვირაშივე დაამთავროს ორგანიზაციული მუშაობა საზოგადოება „ხელები შორს ჩინეთისაგან“ მოსაწყობათ რესპუბლიკანური მასშტაბით.

ცალკე კავშირების კულტგანყოფილებები უკვე შეუდგნენ კამპანიების გატარებას.

ამ დღეებში საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს სამდივნო დაამტკიცებს აღნიშნული საზოგადოების დებულებას.

ს.

თბილისის პოლიტგანათლების განყოფილება

ამით აცხადებს ყველა წერა-კითხვის არა მცოდნეთა და მცირე მცოდნეთა საყურადღებოდ, რომ 22 სექტემბრიდან ქ. თბილისში

სწარმოებს მიღება

წერა-კითხვის არმცოდნეთა და მცირეცოდნეთა სკოლებში შემდეგ პუნქტებში, საღამოს 3-დან 6 ნახ. საათამდე

1 **ნაძალადევი**—ბოტეს სახლში ლენინის რაიკომის პირდაპირ 2. **ნაძალადევი**—ლოტკის გორის ქუჩა № 36 მე 32-ე შრომის სკოლაში 3. **ერთობის რაიონი**—ჩერქეზიშვილის ქ. №75 მე 29-ე შრომის სკოლაში 4. **ნიკოლოზის ქუჩა** № 60—მე 28-ე შრომის სკოლაში 5. **ანდრეევის ქუჩა** № 49—მე 26-ე შრომის სკოლაში. 6. **დიდუბე**—კოოპერაციის ქ. № 17-ე 33-ე შრომის სკოლაში 7. **ვერა**—წყნეთის ქუჩა № 2მე 18-ე შრომის სკოლაში 8. **რუსთაველის რაიონი**—ბებუთოვის ქუჩა № 14 9. **საბურთალო**—მე 20-ე შრომის სკოლაში 10. **ორთაჭალა**—სუფსარქისის ქუჩა № 54 მე 23-ე შრომის სკოლაში 11. **ნავთლუღი**—რეიტერის ქუჩა № 71—მე 24-ე შრომის სკოლაში 12. **მადატოვის კუნძული**—№ 5 მე 80-ე შრომის სკოლაში. 13. ავლაბარი—კახეთის ქ. № 23 მე-86-ე შრომის სკოლაში. სალიკვიდაციო და მცირე მცოდნეთა სკოლებში მიიღებიან ორივე სქესის ყველა მოქალაქენი განურჩევლად ეროვნებისა 18—40 წ. ჰასაკამდე, გარდა საზოგადოების არა მშრომელი ნაწილისა.

მოწაფეები სავსებით უზრუნველყოფილი იქნებიან სათანადო სასწავლო ნივთებით და წიგნებით.

მიღება გაგრძელდება 1-ლ ოქტომბრამდე. მიღებული მოწაფეები განაწილებულ იქნებიან სხვადასხვა სკოლებში ეროვნების, მათი საცხოვრებელი ადგილის და წარმოების მიხედვით.

თბილისის აღმასკომის პოლიტ-განათლების განყოფილება.

2—2 1550.

საბინაო კრიზისის ლიკვიდაციისათვის

22 სექტემბერს შესდგა თბილისის საბჭოს კომუნალური სექციის სხდომა, რომელზედაც ამხ. **ბაბუნაშვილმა** გააკეთა ორი მოხსენება თბილისში საბინაო კრიზისის აღმოფხვრისათვის საჭირო ზომების შესახებ.

საბინაო გადასახადი არამშრომელ ელემენტზე.

საბინაო კრიზისის აღმოფხვრა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას იმდენსავე ყურადღებას მივაქცევთ, რამდენსაც ვაქცევდით სიმშილობის და სხვ. აღმოფხვრას.

აქ საჭიროა როგორც სახელმწიფო, სამეურნეო და ადგილობრივ ორგანოების საერთო ღონისძიებები, ისე თვით მუშები თვითმოქმედება. მხოლოდ ამ შემთხვევაში შესაძლებელი გახდება ფართოდ განვითარება საბინაო-საამშენებლო კოოპერაციის, რომელიც წარმოადგენს ერთად ერთს საშუალებას საბინაო კრიზისის გადასაჭრელად.

მაისში ცენტრში გამოიცა დეკრეტი საბინაო კოოპერაციისათვის დახმარების გაწევის შესახებ. ამ დეკრეტში ნაჩვენებია როგორც საშუალებების წყარო, ისე ორგანიზაციული ფორმები. საშუალებების წყაროთ გათვალისწინებულია შემდეგი: 1) საბინაო გადასახადი ბურჟუაზიაზე, 2) ადგილობრივ აღმასკომების მიერ იჯარით გაცემულ სავაჭრო-სამრეწველო შენობებიდან მიღებულ შემოსავლის ანარიცხი, 3) ანარიცხი მუშების ყოფა-ცხოვრების გასაუმჯობესებელ ფონდიდან და 4) ანარიცხი სამეურნეო ორგანოების მოგებიდან ამ დღეებში ეს დეკრეტი ამიერ-კავკასიის ცაკის მიერ გავრცელებული იქნება ამიერ-კავკასიის ფედერაციაზედაც; საკითხის გადაჭრის დასაჩქარებლად შემუშავებულია გეგმა, რომლის მიხედვით ბურჟუაზიაზე გარდა საბინაო ქირისა შეწერილი იქნება საბინაო და სპეციალური გადასახადი. არა მშრომელ ელემენტებად, რომლებიც იხდიან გადასახადს, ითვლებიან სავაჭრო-სამრეწველო და სხვაგვარ წარმოებების მეპატრონეები და თანამეპატრონეები, ის პირები, რომლებიც ეწევიან კომისიონერობას, დალალობას და საბირჟო ოპერაციებს, რომელთაც აქვთ იჯარით გასაცემი შენობები, რომელთაც იჯარით აქვთ აღებული შენობები ექსპლოატაციისათვის და ყველა მოქალაქეები, რომელთაც აქვთ შემოსავალი შრომის გარეშე.

მოსკოვში ყველა ეს გადამხდელები დაყოფილია 4 კატეგორიათ იმის მიხედვით, თუ რამდენს იხდიან ისინი სარეწაო გადასახადს. გადასახადის განაკვეთები იქ დაწესებულია 28 კ.-დან 1 მან. 12 კაპეიკამდე.

კომისიამ, რომელიც იმუშავებდა გეგმას თბილისისათვის, საჭიროდ სცნო ამ განაკვეთების შემცირება 1 კატეგორიისათვის 10 კაპეიკით თვითეულ კვადრატიულ არშინზე, მეორე კატეგორიისათვის 20 კაპეიკით, მესამე კატ.—30 კაპ., და მე-4-ე კატ.—50 კაპ.

რას მოგვცემს ეს გადასახადი? საშუალოდ არამშრომელ ელემენტს უჭირავს 50 კვად. არშინი და მაშასადამე გადასახადი 1 კატეგორიის პირზე მოგვცემს თვიურად 5 მანეთს, წლიურად 60 მან., მეორე კატეგორიაზე—120 მ., 3 კატ.—180 მ. და 4 კატ.—300 მანეთს. ფინანსთა სახალხო კომისარიატის ცნობით, თბილისში 11,000 გადამხდელია, მაგრამ დაუშვათ, რომ გადამხდელების რიცხვი მხოლოდ 10,000 უდრის, თუ ავიღებთ არა უმაღლეს ან საშუალო განაკვეთს, არამედ მხოლოდ 100 მანეთს, უნდა მივიღოთ 1 მილიონი და უარეს შემთხვევაში, გადასახადს რომც დააკლდეს 30 პროცენტი, მაინც მივიღებთ 700,000 მანეთს, ე. ი. უფრო მეტს იმაზე, ვინემ საქართველოში გროვდება შემოსავლის კვალობითი გადასახადი.

გაცხოველებული კამათის შემდეგ, რომლის დროს ყველა ორატორები ეთანხმებოდენ გადასახადის შემოღების აუცილებლობას, კომუნალური მეურნეობის სექციის პლენუმმა დაადგინა მოწონებულ იქნეს შეუცვლელად წარმოდგენილი პროექტი საბინაო გადასახადის განაკვეთისა არამშრომელ ელემენტებზე.

ცარიელ დარაბების გამოყენება საცხოვრებელ ბინებად.

არსებული ცნობების მიხედვით, დაახლოვებით 2500 დარაბიდან ზოგი იშვიათად იცემა იჯარით, ზოგი უკვე გადაკეთებულია საცხოვრებლად და ზოგიც აღებული უნდა იქნეს სიძველის გამო.

ამ რაოდენობიდან დათვალიერებულ იქნა 725 დარაბა და გამოირკვა, რომ აქედან საცხოვრებელ ბინად გადაკეთებულია 256 დარაბა, ე. ი. 34 პროც., უვარგისია და დასაშლელი 149 დარაბა, ანუ 21 პროც., შეიძლება საცხოვრებლად იქნეს გადაკეთებული 151 დარაბა, ე. ი. 21 პროცენტი, გამოსადეგია მხოლოდ 171 ანუ 24 პროც.

ამ დარაბების მეტი ნაწილი მდებარეობს ცენტრიდან მოშორებულ ადგილებში, არის ისეთი დარაბებიც, რომლებიც უკვე რამოდენიმე წლის განმავლობაში არ გაქირავებულა. ასეთი დარაბები, რომლებიც არ იძლევიან შემოსავალს, აუცილებლად გამოყენებული უნდა იქნეს საცხოვრებელ მოედანის გასადიდებლად.

მოხსენების გარშემო გამართულ კამათში გამოთქმულ იქნა აზრი, რომ საცხოვრებლად გადაკეთებული დარაბები გამოყენებულ უნდა იქნენ აღმასკომის კონტროლის ქვეშ; უმჯობესი იქნებოდა, თუ ეს დარაბები გამოყენებულ იქნება იმ პირთა ჩასასახლებლად, რომლებიც გამოსახლებული უნდა ყოფილიყვნენ მუშათა სახლებიდან, მაგრამ დღემდეც ვერ არიან გამოსახლებული სამაგიერო ბინის უქონლობის გამო.

კამათის შემდეგ სექციის პლენუმმა, რომელსაც არ გადაუჭრია საკითხი დარაბების დემუნიციპალიზაციის ან თბილისის აღმასკომის განკარგულებაში დატოვების შესახებ, აუცილებლად სცნო ყველა ცარიელ და საცხოვრებლად გამოსადეგ დარაბების გადაკეთება საცხოვრებელ ბინებათ.

საქართველოს გლეხკომების ბიუროს პლენუმი

მეორე სხდომა

ბრძოლა მოუსავლიანობის შედეგებთან

(მომხსენებელი ამხ. ათაბეგოვ-თუმასი)

მომხსენებელი აცნობებს თავის მოსაზრებებს, თუ რა ღონისძიებანი უნდა იყვეს მიღებული ამ საქმის მოსაგვარებლად. იგი აუცილებლათ სცნობს დაუყოვნებლივ ჩატარდეს ამის შესაფერი კამპანია, თანაც უმატებს, რომ ჩვენმა გლეხკომებმა უნდა მოახდინონ თავიანთი ძალების გამოცდა მოუსავლობასთან ბრძოლაში. მათ უნდა გამოიჩინონ ამ საქმეში ისეთივე სისწრაფე და ნაყოფიერება, როგორიც რუსეთის გლეხკომებმა გამოიჩინეს დიდი სიმშილობის დროს.

ამხ. ათაბეგოვის მოხსენების გარშემო გაიმართა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს ამხ. ხომერიკმა, სტამბოლიძემ, თოხაძემ, ქურდაძემ, სურგულაძემ, მგელაძემ და სხვებმა.

გლეხკომების სავაჭრო ფუნქციები

(მომხსენებელი ამხ. ხომერიკი)

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ გლეხკომების მიერ ვაჭრობის წარმოება ატარებს მხოლოდ დროებით ხასიათს. როცა კოოპერაცია განმტკიცდება, მაშინ ცხადია—გლეხკომები ხელს აიღებენ ვაჭრობაზე.

იქ, სადაც კოოპერატივები არ არსებობენ, გლეხკომებმა უნდა შეუწყონ ხელი მათ გახსნას. უნდა ეცადონ ყველა გლეხობა მიიზიდონ კოოპერაციაში და ულარიბეს გლეხკაცობისთვის კი შეიძინონ ხოლმე პაიები.

მომხსენებელი კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ ბევრ მაზრებში უკვე გამორკვეულია გლეხკომებისა და კოოპერაციის შორის ნამდვილი დამოკიდებულება, რაც აქნობამდის ბუნდოვან რამეს წარმოადგენდა.

შემდეგ თათბირმა მოისმინა მოხსენებანი: 1) გლეხკომების კულტურულ-განმანათლებელ მუშაობაზე. 2) დასახიჩრებულთა ჩაბმაზე მშრომელთა არტელებში 3) ჯანმრთელობის დაცვასა და გლეხკომებზე და სხვა.

ყველა მოხსენებათა შესახებ პლენუმმა გამოიტანა საბოლოვო ამომწური რეზოლიუციები.

პლენუმის განსაკუთრებული ყურადღება იყო მიქცეული გლეხკომების წითელ სასადილოებზე. გამომუშავებულ იქნა წესრიგი წითელ სასადილოების შესახებ. დებულება ერთხმათ იქნა მიღებული პლენუმის მიერ.

ყველა საკითხების განხილვის შემდეგ პლენუმი დაიხურა კვირას, 21 სექტემბერს.

შრომის ნაყოფიერების ზრდა

როგორ მუშაობენ ქიმიკოსები

ქიმიკოსთა კავშირის სატარიფო ეკონომიურ განყოფილების გამგემ ამხ. არაქელოვმა ჩვენს თანამშრომელს შემდეგი განუცხადა.

— არსებითად ჩვენ მხოლოდ ეხლა ვაფართოებთ კამპანიას შრომის ნაყოფიერების აღსადგენად. განსაკუთრებით ამ კამპანიას ჩვენ შეუდგებით მეტი ენერგიით ჩვენი ყრილობის შემდეგ, რომელიც უნდა შესდგეს 25 სექტემბერს.

დღემდე ჩვენ მოვაწყვეთ საწარმოო თათბირი ასანთის ქარხანაში „25 ოქტომბერი". შესანიშნავია, რომ მუშათა მასა დიდი ყურადღებით შეხვდა ამ თათბირს. თათბირმა დაადგინა ნარდ მუშაობაზე გადასვლა და ნამუშევარის გადიდება ერთზე 50 პროცენტით. თათბირამდე ფაბრიკაში ნარდათ მუშაობა ვერ იძლეოდა დამაკმაყოფილებელ შედეგებს, ყველა მუშები არ ღებულობდენ ზედმეტ ნამუშევარის ხელფასს, რაც გავლენას ახდენდა წარმოებებზე.

თათბირმა ყურადღება მიაქცია ფაბრიკის შტატებს და ნედლი მასალის რაოდენობას. შტატი უცვლელად იქნა დატოვებული, მხოლოდ მექანიკი იქნა შეცვლილი უფრო კვალიფიციური მუშაკით. რაც შეეხება ნედლ მასალას, ის იკმარებს დაახლოვებით 6 თვეს, ჩვენ ფეიქრებთან ერთად განზრახული გვაქვს მოვაწყოთ მთელი რიგი საწარმოვო თათბირებისა. საფეიქრო-საპნის და ზეთის კომბინატში, რომელიც აერთიანებს 280-მდე მუშას. ამ წარმოებაში უნდა გადაჭრილი იქნეს საკითხები ნარდათ მუშაობის, შტატების და გამოტოვებულ დღეების შესახებ.

საწარმოვო თათბირი შედეგებმა უკვე საგრძნობი გავლენა იქონია ასანთის ფაბრიკის მუშაობაზე.

ჩვენი წარმოებების მთელ რიგ საერთო კრებებზე უკვე არჩეულ იქნენ წარმომადგენლები თათბირებისათვის, რომლებიც შეუდგებიან პრაქტიკულ მუშაობას.

ჩვენ გავატარებთ კამპანიას პროვინციებშიაც: პირველ ყოვლისა ჩვენ მოვაწყობთ საწარმოვო თათბირებს. ბორჯომის შუშეულობის—გაზის ჩამომსხმელ კომბინატში, რომელშიც გაერთიანებულია 350 მუშა.

საერთოდ კი ქიმიკოსები ემზადებიან გამარჯვებისათვის ამ ახალ სამეურნეო ფრონტზე.

წითელ ჯარში

ქართული წითელი ლაშქარი მენშევიკური ავანტიურის შესახებ

კვირას 21 სექტემბერს, დილით, 1-ლ ქართ. მსრ. დივიზიის ცენტრალურ კლუბში შესდგა ტფილისის გარნიზონში მდგარ ზურგის ნაწილების, მესანგრე და საკავშირო ასეულების წითელარმიელთა, მეთაურთა და პოლიტშემადგენლობის და ტეხნიკურ მომუშავეთა კრება. ამხ. თენგიზ ჟღენტმა გააკეთა მოხსენება საქართველოს ზოგიერთ კუთხეებში მენშევიკურ—კონტრ-რევოლიუციონურ გამოსვლების შესახებ.

ამხ. მომხსენებელმა ყველასათვის გასაგები ენით გააცნო დამსწრეთ ამ ავანტიურის მიმდინარეობა და სამარცხვინო კრახი. დაწვრილებით შეეხო ის ბანდიტურ გამოსვლების ლიკვიდაციას გურიაში, სადაც საბჭოთა ხელისუფლების წინაამდეგ მენშევიკებთან ერთად გამოვიდენ ყოფილი გაქუცული თავად-აზნაურები, კულაკები, მღვდლები და ძმანი მათნი.

მომხსენებელმა წაიკითხა მენშევიკების პროკლამაციები, რამაც დამსწრეებში გულიანი ხარხარი გამოიწვია. ამ პროკლამაციებში და მოწოდებებში გამომჟღავნდა მენშევიკების და მათ ამყოლ-დამყოლთა მთელი „დემოკრატიული" ავლადიდება, ის, თუ როგორ დამოუკიდებლობას უმზადებდენ ისინი საქართველოს მუშებსა და გლეხებს.

ამხ. მომხსენებელმა აღნიშნა თუ როგორი მამაცობა და რევოლიუციონური აღტყინება გამოიჩინა ბანდების ლიკვიდაციაში საქართველოს ნორჩმა მუშურ-გლეხურმა წითელმა ლაშქარმა.

მოხსენების შემდეგ ერთხმად იქნა მიღებული შემდეგი რეზოლიუცია:

„მოვისმინეთ რა მოხსენება ამხ. თენგიზ ჟღენტისა, საქართველოში უკანასკნელ ხანებში მომხდარ მენშევიკურ კონტრ-რევოლიუციონურ გამოსვლების შესახებ, ჩვენ, ტფილისის გარნიზონში მდგომ ზურგის ნაწილების, მესანგრე და საკავშირო ასეულების წითელარმიელები, უფროსთა და პოლიტიკური შემადგენლობა და ტეხნიკური მომუშავენი—ჩვენს გულისწყრომას ვუგზავნით ბატონ მენშევიკების და მათი ამყოლ კონტრ-რევოლიუციონურ თავად-აზნაურობას, კულაკებს, მღვდლებს და ვაჭრებს, რომლებმაც გაბედეს მუშათა და გლეხთა ხელისუფლების წინააღმდეგ ამხედრება.

საბჭოთა ხელისუფლების სამწლიწად ნახევრის დაუღალავმა და ენერგიულმა შრომამ, საქართველოში, რომლის წყალობით ქვეყანა დაადგა ეკონომიურად და კულტურულად აყვავების გზას, ნათელჰყო, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ და კომუნისტურმა პარტიამ, სრულიად გაამართლა ქართველ მუშების და გლეხების იმედები.

საქართველოს მენშევიკურმა პარტიამ თავისი ბატონობის ხანაში დაგვანახვა, თუ როგორ იცავდენ ისინი მშრომელი ხალხის და საერთოდ ქართველი ერის ინტერესებს.

ის დაუსრულებელი სისხლის მღვრელი ომები მეზობელ სახელმწიფოებთან, სახელმწიფო მრეწველობის და მეურნეობის სრული დაშლა და განადგურება, საქართველოს მიწა-წყალზე ეროვნულ უმცირესობათა აწიოკება და დევნა და სხვა უტყუარი საბუთია იმისა, რომ საბჭოთა ხელისუფლების დამხობის მათი უკანასკნელი ცდები დაღუპვას უქადდენ საქართველოს მშრომელთა მონაპოვართ.

ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ ქართველი მუშები და გლეხები, ქართულ წითელ ჯართან ერთად, როგორც დღემდის, ისე მუდმივად იქნებიან ფხიზლად ოქტომბრის რევოლიუციის მონაპოვართა სადარაჯოზე და შესაფერ პასუხს მისცემენ ხალხის მტრებს—მენშევიკებს, ეროვნულ-დემოკრატებს, ფედერალისტებს და მათ ამყოლთ მღვდლებს, კულაკებსა და ყოფილ ბრწყინვალე წოდებას.

ჩვენ ღრმადა ვართ დარწმუნებული, რომ საბჭოთა ხელისუფლება, როგორც დღემდის, მტკიცე ნებისყოფით და მუდამ რევოლიუციის საგუშაგოზე ფხიზლად დგომით შესაფერად გაუმასპინძლდება ავანტიურაში მონაწილე ელემენტებს და ამითი უზრუნველჰყოფს ჩვენი უძვირფასესი მასწავლებლის—ლენინის ანდერძს.

გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას საქართველოში.

გაუმარჯოს ამიერ-კავკასიის ერთა ძმობას და მტკიცე კავშირს.

გაუმარჯოს ქართულ წითელ ჯარს.

ძირს მენშევიკები, ნაციონალ-დემოკრატები, ფედერალისტები და მათი ამყოლნი, რომლებმაც განიზრახეს ჩვენი მყუდრო ცხოვრების დარღვევა".

წითელარმიელი.

მეცნიერება და ტეხნიკა

ულიანდაგო ტრამვაი.

ჩვენ ისე შევეჩვიეთ ტრამვაის ვაგონებს, რომლებიც ლიანდაგზე გარბიან, რომ ჩვენთვის ძნელი წარმოსადგენია ულიანდაგო ტრამვაი. ასეთი ტრამვაი კი არსებობს ინგლისის და საფრანგეთის ზოგიერთ ქალაქებში და ის წარმატებითაც მუშაობს.

მთავარი მიზეზი იმისა, თუ რატომ მიმართა ტეხნიკამ ახალი ტიპის ტრამვაის, არის ის, რომ ტრამვაის ხაზის გაყვანა მეტათ ძვირი ჯდება. ტრამვაის ხაზი შესდგება ხის შპალებზე მიმაგრებულ ლიანდაგისაგან; ისრები და მოსახვევების წრეები კიდევ უფრო აძვირებენ ხაზის გაყვანას. მავთულების ჩამოკიდება გაცილებით უფრო იაფი ჯდება, განსაკუთრებით კა მაშინ, როდესაც შესაძლებელია ამის სვეტების გარეშე მოწყობა და მავთულების სახლების კედლებზე მიმაგრება.

აი ამიტომ ტეხნიკოსები დიდი ხანია უკვე სცდილობენ დაკმაყოფილდენ მავთულების ჩამოკიდებით, რომელთა საშუალებითაც ვაგონს ეძლევა ელექტრონის ძალა, ლიანდაგის მაგივრათ კი გამოყენებულია ჩვეულებრივი მოკირწყლული ქუჩა.

ამ საქმის ინიციატორი იყო ინჟინერი მ. ვილკინსონი, ქ. ბროდფორდის (ინგლისი) ტრამვაის საზოგადოების დირექტორი, მის მიერ 1922 წელში აგებული იყო ვაგონი, რომელიც ერთდაიმავე დროს წააგავდა ტრამვაის ვაგონსაც და ავტობუსსაც. მას აქვს ავტომობილის ბორბლები (ოთხი), ამასთანავე წინა ბორბლები მოძრაობაში მოჰყავს საჭეს, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია ვაგონის მიმართულების შეცვლა. ულიანდაგო ტრამვაის ვაგონები ორსართულიანია; მასში ეტევა 51 მგზავრი (25 ქვევითა სართულში და 26 ზევით).

ულიანდაგო ტრამვაის ვაგონის განი უდრის 2 მეტრს და 30 სანტიმ. სიგრძე კი 7 მეტრს და 60 სანტ. ცარიელი ვაგონი იწონის 7 ტონას (430 ფუთი).

ულიანდაგო ტრამვაი ჩვეულებრივ გზაზე საათში გადის 18 კილომეტრს. ინგლისში და საფრანგეთში მოხდენილმა ცდებმა დაამტკიცეს, რომ ასეთი ტრამვაით სარგებლობის ხარჯები არ აღემატება ჩვეულებრივი ტრამვაის ხარჯებს, მაგრამ სამაგიეროთ მისი აგება უფრო ჩქარა და ადვილათ შეიძლება და ის უფრო იაფიც ჯდება.

ნარევი

ბიზონები და ზუბრები

უხსოვარ დროიდან რუსეთის და ევროპის მრავალ ადგილების ტყეებში გავრცელებული იყო ზუბრების ჯიში.

ცხოველები ენათესავებიან ჩვენს მსხვილ ფეხა საქონელს და ამ უკანასკნელისაგან განსხვავდებიან თავისი ტანადობით, უფრო ხანგრძლივი სიცოცხლით, მეტი სიმტკიცით და გარეული ცხოველის სიფრთხილით, ისინი დახელოვნებული არიან უღრან ტყეებში დამალვაში და მეტათ თავგამოდებით იცავენ თავს მგლებისა და სხვა მტაცებელ ცხოველებისაგან.

მიუხედავათ ამ ღირსებებისა, ზუბრების ბედი ევროპაში მეტათ სამწუხარო იყო. ზუბრებზე ნადირობა მეტათ სასიამოვნო საქმეთ იყო მიჩნეული და ის გვირგვინოსანთა უპირატესობათ გადაიქცა.

ზუბრების მოსპობამ მეტათ ფართო ხასიათი მიიღო. დასავლეთ ევროპაში ამ ჟამათ ზუბრები სრულიად მოსპობილია.

რუსეთში ზუბრები სცხოვრობენ „ბელოვეჟსკაია პუშჩა"-ში—მინსკის გუბერნიაში და ყუბანის ოლქის მთლიან ნაწილში .

ზუბრების მოსპობამ მეტათ დაამწუხარა მეცნიერები. საქმე იმაშია, რომ ზუბრების მოსპობით მეცნიერება ბევრს დაკარგავს. ზუბრები უხვ მასალას აძლევენ მეცნიერებს ჩვენი შინაური მსხვილფეხა საქონლის ცოცხალი წინაპრების გამოსაკვლევათ. ამას გარდა მათ პრაქტიკული მნიშვნელობა აქვთ. ზუბრების საშუალებით შეიძლება ჩვენი შინაური საქონლის ჯიშის გაუმჯობესება.

ზუბრების და შინაური საქონლის დაახლოვებისაგან მიღებული თაობა ხასიათდება მეტი სიმტკიცით, სილამაზით, თვინიერებით და მათი რძეც უკეთესია. ასეთი ცდები მოხდენილი იყო უკრაინაში და მოსკოვის ზოოლოგიურ ბაღში, სადაც ეხლაც შეიძლება ზუბრ-ძროხის ნახვა.

ზუბრებთან ახლოს სდგას ეგრეთ წოდებული ბიზონი—უდაბნოს ხარები, რომლებიც ამერიკაში სცხოვრობენ. ეს ცხოველი, როგორც ზუბრებიც, ენათესავება ჩვენს მსხვილფეხა საქონელს. წინათ ამერიკის უდაბნოები დაფარული იყო ბიზონებით, მაგრამ 70 წლებიდან დაიწყო მათი საშინელი განადგურება. ამან ისეთი ფართო ხასიათი მიიღო, რომ ამერიკის მთავრობა იძულებული იყო მიეღო სათანადო ზომები და აეკრძალა ბიზონებზე ნადირობა. ეხლა ამერიკაში სწარმოებს ბიზონების რაციონალური მოშენება, ზედმეტი საქონლის დახოცვა და მათი ხორცის და ტყავის გამოყენება დიდ შემოსავალს აძლევს სახელმწიფოს.

ბიზონების ხორციდან აკეთებენ კონსერვებს. ტყავიდან კი ამზადებენ ლანჩას, რომელიც თავისი სიმაგრით და გამძლეობით საუკეთესოთ ითვლება.

„კომუნისტი" 3ე

„კომუნისტი"-ს პრემიების დარიგება

დღეს თბილისისა და პროვინციის ექვსი თვის ხელისმომწერთ ურიგდებათ უფასოთ კუთვნილი პრემია: ი. ჯუღაშვილი-სტალინი—წერილების კრებული ნაც. საკითხის შესახებ*), ვ. ლიბკნეხტი—მოგონებანი მარქსზე, სტეპანოვი—სარწმუნოების შესახებ.

ყველა ხელისმომწერლებს ამ დღეებში დაურიგდებათ, როგორც ჩვეულებრივ უფასოთ, „კომუნისტი"-ს სალიტერატურო-სამხატვრო ორკვირეული დამატების, „ჩირაღდნის" მორიგი ნომერი, რომელიც უკვე იბეჭდება.

მიიღება ხელისმოწერა ოქტომბრისათვის

მუშა-მოსამსახურეებისათვის, წ.-არმიელებისა და მოსწავლე ახალგაზრდობისათვის თბილისში და პროვინციაში გაგზავნით გაზეთი ეღირება:

1 თვით 65 კაპ. 2 თვით—1 მან. 10 კაპ. წლის ბოლომდი—1 მან. 80 კაპ.

ყველა დანარჩენებისათვის გაგზავნით

თბილისში (ბინაზე მიტანით)	
1 თვით	85 კაპ.
2 „	1 მან. 60 „
წლის ბოლომდი . .	2 „ 40 „

პროვინციაში (გაგზავნით)	
1 თვით	95 კაპ.
2 „ . . .	1 მან. 80 „
წლის ბოლომდე . .	2 „ 70 „

ყველა ხელისმომწერნი მიიღებენ უფასოთ „კომუნისტი"-ს ორკვირეულ სალიტერატურო სამხატვრო დამატებას „ჩირაღდანს"

ამნაირად ხელის მოწერის პირობები რჩება ძველი, ხოლო ოქტომბრის პირველიდან გაზეთის თითო ეგზემპლიარი ეღირება 5 კაპ.

---

*) ვინაიდან სამი და ექვსი თვის ხელისმომწერთა რიცხვმა ჩვენს მოლოდინს გადააჭარბა და შეპირებული წიგნების რაოდენობა საკმაო აღარ დაგვირჩა, ამიტომ ზოგ დაპირებულის მაგიერ ვუგზავნით ხელისმომწერთ სხვა წიგნებს იმავე ღირებულებისას შინაარსით და ფასით. მაგალითად სტალინისა და ლიბკნეხტის წიგნების მაგიერ ზოგ ექვსი თვის ხელისმომწერთ დღეს ვუგზავნით ლენინის წიგნს გლეხობის შესახებ და ფრ. ენგელსისას—კომუნიზმის პრინციპები.

ქრონიკა

— **ქ. ლომბარდი.** ქ. აღმასკომის დადგენილებით ლომბარდიდან გაცემულ სესხზე არსებულ პროც. გადასახადის დაცვით დაწესებულ იქნა დიფერენციალური ტარიფი 2—5 პროც. გაცემულ სესხის რაოდენობის მიხედვით.

— **დახმარება პროლეტარულ სტუდენტთა ბიუროს.** ქ. აღმასკომის დადგენილებით პროლეტარულ სტუდენტთა თბ. ბიუროს აღმასკომის სალაროდან ეძლევა ყოველთვიური დახმარება 300 მან.

— **სოციალურ უზრ. სახ. კომისარიატმა** გადასწყვიტა ყველა კონტრაგენტს ჩამოართვას „პტიშვო" და თვითონ განიგოს.

— **ქალაქის ტრამვაი.** ვინაიდან მომუშავე ტრამვაის ვაგონები ვერ აუდიან მგზავრებს, დამატებით გამოუშვა კიდევ რამდენიმე ახალი ვაგონი.

— **პასტერის საავადმყოფოები.** ჯანმრთელობის სახ. კომისარიატმა გადასწყვიტა გახსნას პასტერის სახელობის საავადმყოფოები ბათომში, ქუთაისში და სიღნაღში.

— **„ჩემო"-დან.** მიღებული ფული 8,709 ჯანსახკომმა გაანაწილა 70 სასოფლო-საექიმო პუნქტებს შორის.

— **სამთომადნო სკოლა.** შრ. კომისარიატის შრომის დაცვის განყოფილებამ შუამდგომლობა აღძრა განათ. კომისარიატის წინაშე, ჭიათურაში სამთომადნო სკოლის გახსნის შესახებ.

— **ახალი წიგნი.** გამოვიდა პროფ. ალ. ჯავახიშვილის ფიზიკური გეოგრაფიის პრაქტიკუმი, რომელიც შეიცავს 102 გვერდს, თანდართული აქვს სურათები. გამოცემულია სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ.

— **მცირე წლოვანთა შრომა.** ამ დღეებში გამომცემლობა „შრომის საკითხები" გამოსცემს წიგნაკს: „მცირე წლოვანთა შრომა".

— **შტატის გადიდება.** გადაწყდა ჯანმრთელობის კომისარიატის 9 საავადმყოფოში გაადიდონ შტატი 359 კაცით.

— **ჰიდრო-ტეხნიკური მუშაობა.** საქ. სახ. კომ. საბჭომ მიიღო დადგენილება ჰიდრო-ტეხნიკური მუშაობისა და დაგეგმვის შესახებ.

— **სოციალურ დაზღვევის** მთავარ სამმართველოს პლენუმი შესდგება 27 სექტემბერს.

— **შინ. საქ. სახ. კომისარიატი** შეუდგა თავის ორგანიზაციების რეორგანიზაცია-შემჭიდროებას.

— **სახელმწიფო უნივერსიტეტის** მუშათა ფაკულტეტზე მისაღები გამოცდები დაიწყება 25 სექტ.

— **სახელმწიფო უნივერსიტეტის** შენობაში, დღეს 24 სექტ. დანიშნულია სამანდატო კომისიის სხდომა ამხ. სიმონ ხუნდაძის თავმჯდომარეობით. სხდომაზე თავის წარმომადგენლები უნდა გაგზავნონ: 1) პროფსაბჭომ, 2) ახალგაზრდა კომკავშირმა, 3) კომპარტიის ცეკამ, 4) უნივერსიტეტის უჯრედმა, 5) უნივერსიტეტის სტუდკომმა და 6) უნივერსიტეტის გამგეობამ.

— **ქ. სასაკლაო.** აგვისტოს განმავლობაში ქ. სასაკლაოზე დაიკლა 10,961 სული საქონელი.

— **საბებიო სკოლა.** ჯანსახკომმა შეადგინა სპეციალური კომისია საბებიო სკოლების სარეორგანიზაციოთ აღნიშნული სკოლები გადაკეთებული იქნებიან ფერშლების და მოწყალების დათა მოსამზადებლად.

— **სახალხო მამულების** მმართველობამ გადაწყვიტა წინანდალის მამულში გააშენოს 15 დესეტინაზე ახალი ვენახი.

— **შრ. კომისარიატმა** სოციალურ დაზღვევის კურსებზე მოსკოვში მიავლინა თუშიშვილი.

— **დახმარება.** 26 სეტ. შრ. ბირჟის დამზღვევი განყოფილება გასცემს სექტემბრის დახმარებას მეტყავეთა, მკერავთა და ფეიქართა სექციების უმუშევრებს.

— **გლეხთა ახალგაზრდობის სკოლები.** განათ. კომისარიატის დადგენილებით დამდეგ სასწავლო წლიდან მთელ რესპუბლიკაში გაიხსნება 12 გლეხთა ახალგაზრდობის სკოლა. სპეციალურ კომისიას მიენდო გამოარკვიოს კომისარიატის ფონდის მიხედვით, თუ აღნიშნულ სკოლების მასწავლებელთ რამდენი ჯამაგირი შეიძლება მიეცეთ პერსონალურად.

— **სარაიონო სოციალ-საჩვენებელი სკოლები.** განზრახულია ყველა მაზრეში გაიხსნას თითო რაიონული სკოლა, რომელსაც ექნება საცდელ საჩვენებელი ხასიათი.

— **სახკოლო-სასანიტარო ექიმები** გადავიდენ ჯანმრთელობის განყოფილების განკარგულებაში.

— **ხე-ტყის სახერხი ქარხანა.** თბ. ხე-ტყის სახერხ ქარხანამ აგვისტოს განმავლობაში დაამზადა 11,748 ვერშოკი ხე-ტყე, 8,447 მან. 22 კაპ. ღირებულების.

— **ჭირის წინააღმდეგ ბრძოლა.** ქ. აღმასკომმა საბეითლო სექციას ციმბირის საწინააღმდეგო შრატის დასამზადებლად გადასცა 3,756 მანეთი.

— **სამხედრო კოოპერაცია.** კომპარტიის ა|კ. საოლქო კომიტეტის დადგენილებით, სამხედრო კოოპერატივები, რომელთა დახურვა განზრახული იყო, დარჩება, ვინაიდან ისინი შესაფერ დახმარებას უწევენ როგორც სამხედრო უწყების მუშამოსამსახურეებს, ისე ღარიბ მოქალაქეებს.

— **ტრამვაის** აგვისტოს თვეში გადაუყვან-გადმოუყვანია ,2244,868 სული, წარსულ თვეებთან შედარებით 10,007 სულით მეტი.

— **„შრომის საკითხები".** გამომცემლობა „შრომის საკითხები" შეუდგა პოპულიარულ ბროშურების გამოცემას.

შემთხვევები.

— ქურდობა. 22 სექტ. საღამოს 7 საათზე სასტუმრო ორიანტში (რუსთ. პრ. № 3) გაქურდეს მ.—გ. ინსპექციის სახ. კომისარის ამხ. ანდრო დოლიძის ოთახი. ქურდი აღმოჩნდა კონსერვატორიის მოწაფე, ვიქტორ საყვარელიძე, რომელიც შეიპყრეს.

— „კაზინოს" მსხვერპლი. 23 სექტ. დილის 5 საათზე ვერის დაღმ. ცირკის პირდაპირ მტკვრის ნაპირას, მოდარაჯე მილიციელმა აღმოაჩინა რევოლვერით დაჭრილი მოქ. ვასილ სტეფანეს ძე მაროვი, რომელსაც ტყვიიდან ორივე თვალი ჰქონდა ამოვარდნილი. დაჭრილს თან აღმოაჩნდა რევოლვერი „ბრაუნინგი"-ს სისტემის 4 ვაზნით და ორი წერილი, რომელშიაც ნათქვამია, რომ თავს ვიკლავ „არტოში" სახაზინო ფულის 1,600 მ. კარტის თამაშში წაგების გამო. დაშავებული გადაგზავნილი იქნა საავადმყოფოში.

— შეპყრობა. 22 სექტ. შეიპყრეს მელიქა ბუღდანის ძე ოსიპოვი, რომელსაც ბრალდება ბურტოვის სავაჭროს გაქურდვის განზრახვა.

— ქურდობა, 22 სექტ. ნიკოლოზის ქ. 81, გაქურდეს მარიამ სალაძის ბინა წაღებულია 150 მან. ნივთები.

— 21 სექტ. გაქურდეს ღამით მოქ. კამსარ სარიბეგისა, ბურტოვის ფეხსაცმელების სავაჭრო (პლეხ. პრ. 95) წაღებულია 500 მ. ნივთები.

ჟურნალი „მნათობი"

დაიბეჭდა და ამ დღეებში გამოვა გასაყიდათ ჟურნალ „მნათობის" მეხუთე ნუმერი—შემდეგი შინაარსით.

მხატვრული ლიტერატურა.

გალაკტიონ ტაბიძე. ლექსები. მოგონებები იმ დღეების, როცა იელვა. **ვალერიან გაფრინდაშვილი.** მიხეილ ბაკუნინი. **კოლლაუ ნადირაძე.** მიმართვა ბავშვებს. **ვასო გორგაძე.** ექსპრესს. **ნიკოლოზ ჩაჩავა.** თეზისები პოეტებს.

ბელეტრისტიკა.

მიხეილ ჯავახიშვილი—ადამაშვილი. მსოფლიო ომის გრიგალში. **აკაკი ბელიაშვილი.** ცხრა ცენტრი.

თარგმნილი ლიტერატურა.

ვლადიმერ მაიაკოვსკი. ლექსები—თარგმანი პაოლო იაშვილის. იური ლიბედინსკი. შვიდი დღე—თარგმანი ვასო გორგაძის. ემილ ვერხარნი. ტრიბუნი—თარგმანი კოსტ. ჭიჭინაძის. **ანრი მილბო.** კარლ ლიბკნეხტი—თარგმანი **სიმონ ჩიქოვანის.**

მხატვრობა, კრიტიკა—მემუარები

შალვა ალხაზიშვილი. თეატრალურ დეკორატიული მხატვრობა. **სიმონ ჩიქოვანი.** გერმანეთის მხატვრობის მემარცხენე ფრონტი. **ალექსანდრე ყაზბეგის და დიმიტრი ყაზბეგის** ბიოგრაფიის მასალები.

მეცნიერება და პუბლიცისტიკა.

ნიკო მარრი. ნაპერწკლები და შენიშვნები იაფეტურ თეორიის შესახებ. **ა. დებორინი.** ლენინი, როგორც მებრძოლი მატერიალისტი. **ლევ ტროცკი.** რევოლიუციის ახალი ეტაპი. **სიმონ ხუნდაძე.** მარქსის ინტერნაციონალი.

ბიბლიოგრაფია. რეპროდუქციები და სხვა.

ხელოვნება

სიმფონიური ორკესტრის ბენეფისი

სიმფონიურმა ორკესტრმა დირიჟორ სტოლერმანთან ერთად 20 სექტემბერს პროფკავშირთა საზაფხულო კლუბში იდღესასწაულა თავისი ბენეფისი. ზეიმს მეტათ თბილი და გულწრფელი ხასიათი ჰქონდა.

სტოლერმანის ესტრადაზე გამოჩენის დროს ორკესტრმა სამჯერ შეასრულა ტუში. სტოლერმანი თავის მხრივ მიესალმა ორკესტრს, შემდეგ ბენეფიციანტებს მიესალმენ პროფესიონალურ კავშირების გამგეობის და ხელოვნების მუშაკთა კავშირის წარმომადგენლები და პროფესიონალური კავშირების საზაფხულო კლუბის გამგე მუშა სამსონ ქოსაშვილი, რომელმაც მეტათ ლამაზი და გულწრფელი სიტყვა წარმოსთქვა ქართულ ენაზე. მან მადლობა გადაუხადა ბენეფიციანტებს მათ კულტურულ-განმანათლებელ მუშაობისათვის და აღნიშნა ის დიდი მნიშვნელობა, რომელიც აქვთ სიმფონიურ კონცერტებს მასების კულტურული დონის ამაღლების საქმეში.

კონცერტის პირველი განყოფილება მიძღვნილი იყო ვასილ კალინნიკოვის საუცხოვო მეორე სიმფონიისათვის. ეს სიმფონია სიმფონიური მუსიკის ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშია. სტოლერმანმა დიდის აღტკინებით და ტემპერამენტით ჩაატარა ეს სიმფონია. დაცული იყო ნაწარმოების სტილიც, მელოდიური სურათიც და დინამიკაც.

მშვენივრათ იყო შესრულებული აგრეთვე ვაგნერის უვერტიურა „რიენცი", რომელიც დაწერილი იყო კომპოზიტორის მიერ 1848 წლის რევოლიუციის შთაბეჭდილების ქვეშ.

სოლისტათ გამოსული პიანისტი რუბენ ყაზარიანი—თბილის კონსერვატორიის ყველაზე უფრო ნიჭიერი მოწაფეა. მან შეასრულა ლისტის ეფექტიური ფანტაზია ესპანურ თემაზე. შესრულება ამტკიცებს ახალგაზრდა ნიჭიერ პიანისტის ვირტუოზობას. მას მშვენიერი ტეხნიკა და მუსიკალობა აქვს. პიანისტის მიერ შესრულებული იყო აგრეთვე სკრიაბინის ეტიუდები. პ. ბ.

პლეხანოვის თეატრი ამ თეატრთან დაარსდა სცენის მოყვარეთა წრე, რომელიც გამართავს სისტემატიურად ქართულ წარმოდგენებს.

მომღერალი თამარ წერეთელი. რუსეთში საგასტროლოდ გაემგზავრა მომღერალი თამარ წერეთელი, რომელიც მიწვეულია ცენტრალურ ქალაქებში კონცერტებზე.

„პირველი ნაბიჯი". სახელმწიფო კინომ დაამთავრა გადაღება სურათისა „პირველი ნაბიჯი"-ს გიორგი წერეთლის რომანიდან. მთავარ როლებს ასრულებდნენ ვაჩნაძისა და მიხ. გელოვანი.

— **საბავშვო გამომცემლობა.** განათლების კომისარიატის დადგენილებით, სახ. გამომცემლობას დაექვემდებარა ქვე-განყოფილების სახით საბავშვო გამომცემლობა.

— **ქუთაისის მუსიკალური ტეხნიკუმი.** განათ. კომ. დადგენილებით ქუთაისის მუსიკალური ტეხნიკუმი დამტკიცებული იქნა სახელმწიფო მომარაგებაზე. ამავე ტეხნიკუმში სწავლა და მიღება დაიწყება 1 ოქტომბერს.

— **ძმ. ტანდიტების ცირკი** გაიხსნება ამ დღეებში.

— **აჭარის მუსიკალური სასწავლებელი.** აჭარაში გაიხსნა მუსიკალური სასწავლებელი.

სპორტი

ფეხბურთელთ შეჯიბრება

კვირას, 21 სექტემბერს, მოხდა ორი ფეხბურთის შეჯიბრება. პირველ შეჯიბრებაში მონაწილეობას იღებდა მე-2 რაიონის 1 ჯგუფი და ლენინის რაიონის მთავარ სახელოსნოს ჯგუფი. ამ თამაშობას დაესწრო საკმაო რიცხვი მაყურებლების და ინტერესით უყურებდენ ახალგაზრდა განწვრთნების თამაშს. თამაშობა თავდება მე-2 რაიონის გამარჯვებით 2:0.

მეორე შეჯიბრება უფრო საინტერესო იყო და მას უფრო მეტი ხალხი დაესწრო. თამაშში მონაწილეობას იღებდენ: ქ. თბილის 1 შენაკრები ჯგუფი (сборная) და კიმი (კომკავშირის) ჯგუფი. სძლია ქ. თბილისის 1 შენაკრებმა და თამაშობა თავდება მისი გამარჯვებით—4:0. ხალხი ძალიან ნასიამოვნები დაიშალა. მაგრამ უნდა აღინიშნოს ერთი სამწუხარო მოვლენა: ასეთ შეჯიბრებებს არ ესწრება საკმაო ნაწილი მუშების. ფიზიკურ კულტურას კი ყველაზე უფრო მუშები უნდა ეტანებოდენ და უწყობდნენ მას ხელს.

გ. ო-ვა.

მუშების ცხოვრება

შრომის ზეიმი

(ჩვენი ფოთელი მუშკორისაგან).

ა. წ. 18 სექტემბერს, საღამოს 7 საათზე სატრანსპორტო კავშირის კლუბში (კარლ მარქსის სახელობაზე) გაიხსნა საზეიმო საერთო კრება.

კრება გახსნა პასუხისმგებელ მდივანმა ამხ. ლომთათიძემ, რის შემდეგ იქნა არჩეული საზეიმო სხდომის პრეზიდიუმი 9 კაცისაგან შემდგარი.

დღის წესრიგში იდგა შემდეგი კითხვები:

1) სატრანსპორტო კავშირის დაარსების 5 წლის რუსეთში და 3 წლის საქართველოში ისტორია; 2) შრომის გმირების, განსაკუთრებულ აქტიურ პროფესიონალურ და სამეურნეო მუშაკთა დამტკიცება და მისალმება მათთვის; 3) მოგონებანი.

პირველ კითხვაზე მოხსენებას აკეთებს ამხ. გ. ლომთათიძე, რომელიც მოუთხრობს კრებას კავშირის დაარსების, მის ზრდის და განვითარების ისტორიას საერთოდ საკავშირო რესპუბლიკებში და კერძოთ საქართველოს ფარგლებში, რის შემდეგ მისასალმებელი სიტყვით გამოვიდენ ადგ. პარტ. და საბჭოთა ორგანიზაციებიდან რამოდენიმე ამხანაგები.

შემდეგ მიღებული იქნა რეზოლიუცია:

„სატრანსპორტო კავშირის ფოთის განყოფილების წევრების საზეიმო საერთო კრებამ მოისმინა რა მოხსენება ამხ. გ. ლომთათიძის შესახებ, სატრანსპორტო კავშირის 5 წლის არსებობისა, წევრების საერთო კრება მხურვალეთ ესალმება ამ ფაქტს და გამოსთქვამს იმედს, რომ კიდევ არა ერთი ხუთი წელი იარსებებს ჩვენი კავშირი საბჭოთა ხელისუფლებასთან და კომპარტიასთან მჭიდროთ დაკავშირებული მსოფლიო პროლეტარიატის საბოლოო გამარჯვებამდე და სხ.

შრომის გმირებად დამტკიცებული იქნენ კრების მიერ შემდეგი ამხ-ბი— **აქტიურ პროფმომუშავეებათ: 1) გიგა ლომთათიძე, 2) ილარიონ უჩანეიშვილი, 3) საშა ფრუიძე, 4) იასონ დოლბაია, 5) ლადიკო კალანდაძე და 6) ნიკო კლდიაშვილი.**

აქტიურ სამეურნეო მომუშავეებად:

1) გიორგი უჩანეიშვილი, 2) გიორგი ძნელაძე, 3) გიორგი ბოკუჩავა, 4) აკაკი იბიანსკი, 5) სანდრო ცხაკაია, 6) ლავრენტი წურქავა, 7) ზოსიმე ხუხია, 8) ლადი სერგია და 9) კლემენტი ჩოჩია.

შრომის გმირებად:

1) პავლე ზაქარეიშვილი, 2) შემოზადაშვილი ერასტი, 3) ვასილ ბოკუჩავა, 4) ვახტანგ ჯაში, 5) სოლომონ დოლიძე, 6) მაქსიმე დოლბაია, 7) ილიკო ჯაში, 8) ბესა სიჭინავა, 9) იაგორ ახალაძე, 10) გიორგი დოლბაია და 11) პავლე ჯიბლაძე.

ზემოაღნიშნულ ამხ-ბი იქნენ სცენაზე გამოყვანილი და მათ მიესალმენ ჩვენი პასუხისმგებელი ამხანაგები სათანადო სიტყვებით. შრომის გმირებს მშრომელი ხალხი ხვდება დიდი ენტუზიაზმით, რაც გამოიხატებოდა განუწყვეტლივ ტაშის ცემაში. ორკესტრი უკრავს ინტერნაციონალს.

საზეიმო კრების დახურვის შემდეგ იქნა დადგმული ადგილობრივი კავშირის სცენის მოყვარეების მიერ რევოლიუციონური სურათები თითო მოქმედებით: **„წითელი დემონი"** და **„წითელი წალკოტი"**, რითაც საზეიმო სალამოზე დამსწრენი კმაყოფილი დარჩენ.

მუშკორი **საშა ფრუიძე.**

რკინისგზელებში

აბანო არის თუ სარეცხავი?!

(რკ. გზ. მთავარ სახელოსნ. სანიტარულ კომისიის საყურადღებოდ).

მთავარ სახელოსნოებში ზოგიერთი მუშები რეცხავენ საცვლებს და სხვა და სხვა ტანსაცმელს აბანოებში, რაც ყოვლად დაუშვებელია სხვა და სხვა გადამდები სნეულების გავრცელების გამო. ამას უნდა მიაქციონ ყურადღება თვით მუშებმა თავისი ჯანმრთელობის დასაცავად, არც საამქროს ადმინისტრაციასაც უნდა ეძინოს. მთავარ სახელოსნოს სანიტარულო კომისიავ, გააგებინე მუშებს, რომ უსუფთაო აბანოსგან ბევრნაირი ავადმყოფობა შეიძლება მიიღოს ადამიანმა ბანაობის დროს. სარეცხი ადგილი სხვაგან უნდა დაუნიშნოთ ასეთს მრეცხავებს. ეს ფაქტი უნდა მოისპოს. ამას მოითხოვს მუშების ჯანმრთელობა.

მუშა **სიონელი.**

ერთი მათგანი გამოსწორდა

(ადგილკომის და შრომის ინსპექტორის საყურადღებოდ).

მთავარ სახელოსნოს მექვაბეთა საამქროში მომუშავენი ორი ქვისლების შესახებ იყო წერილი „კომუნისტი"-ს 14 სექტემბრის ნომერში სათაურით „ორნი არიან, ტოლნი არიან ერთად მიდიან, მიიმღერიან". ერთი მათგანი გვარათ გარშკოვსკიმ უკვე გაანება თავი ორმაგ მუშაობას და ეხლა უკვე შეუდგა სინდისიერად თავის მოვალეობის ასრულებას. მაგრამ არ იშლის თავისას მისი ქვისლი ფადიევი ის ამბობს: „მე ჩემ სიმამრს ვშველი ხოლმე და სამი არშინიანი წერილიც რომ წეროთ, მე ჩემსას არ დავიშლიო". ამისთანა ჯიუტებს კავშირში ადგილი არ უნდა ქონდეს ჩემის აზრით. პროფკავშირის წევრი შრომის ინსპექტორის დადგენილებით ორმაგ მუშაობას არ უნდა ეწეოდეს და ისიც სასპეკულიაციო სფეროში. წინა წერილში მოხსენებული ექიმის მიერ მინაცემი შეებულება ბოროტად გამოიყენა ფადიევმა და არა გარშკოვსკიმ. და ის ეხლაც ფაიტონზე ზის სიმამრის ნაცვლად.

მუშა **მექვაბე.**

რად ილახება ჩვენი ინტერესები!

(საქონ. სადგურის ადგილკომის საყურადღებოდ).

თბილისის სახალხო სადგურზე ვართ 12 მუშა. მორიგეობა გვიწევს დღე და ღამე, ესე იგი 24 საათს 4 კაცსა სამწყებად. ჩვენი მოვალეობას შეადგენს, 1. სადგურის მორწყვა, დაჰგვა, 2. ტვირთვის დადება ვაგონებში, 3. მატარებლებზე მოსული ავათმყოფის, ან დაჭრილის ან მის ახლო სადგურთან ავათმყოფების წაყვანა და მოვალეობას ვასრულებთ პირნათლად; ვმუშაობთ კვირა და უქმე დღეებში რით შრომის კანონი ირღვევა ღამით მუშაობა გვიხდება. გვიხდება მუშაობა უქმე დღეებშიც. ამ ზედმეტ საათების ნამუშევრის ჯილდო არ გვეძლევა. გამოსავალი გზად მიგვაჩნია ან ამ ჯილდოს ჩვენთვის მოცემა ან და მორიგეობის წყებად დაყოფა, როგორც დარაჯებშია და სხვაგანაც.

მუშკორი **შ. დანდუროვი**

რკინისგზელთა ქრონიკა

— **შეშა მუშებს.** თბ. საქონ. სადგურის ადგილკომმა შუამდგომლობა აღძრა-ბიუროს კოლეგიის წინაშე მუშების შეშით უზრუნველყოფის შესახებ.

— **შრომის ხელფასის გადიდებისთვის.** თბ. საქონლის სადგურის ადგილკომმა შუამდგომლობა აღძრა პრეზიდიუმის წინაშე შრომის ხელფასის მინიმუმის (15 მან.) გადიდების შესახებ, ვინაიდან საქ. სადგურის შემოსავალმა საგრძნობლად იმატა.

— **სადელეგატო კრება.** სალიანდაგო სამსახ. მე-6 უბანში ამ დღეებში გაიმართება სადელეგატო კრება.

— **საწარმოო თათბირი.** დღეს, 24 სექტემბერს, სალიანდ. სამსახ. მე-6 უბანში გაიმართება საწარმოო თათბირი.

— **სპეცტანისამოსი.** თბ. საქონლის სადგ. ადგილკომი სთხოვს ბიუროს კოლეგიას, რათა მუშებისათვის სასწრაფოდ შეძენილ იქნეს სპეცტანისამოსი.

— **მეარტელეებისა და მოიჯარადრეების მუშაობის განხილვა.** სალიან. სამსახ. მე-6 უბანში ამ დღეებში მოხდება მეარტელეებისა და მოიჯარადრეების მუშაობის განხილვა.

— **„ლენინის კუთხე".** სად. თბილისის მოძრაობის დარგის სამკითხველოსთან ადგილკომი აწყობს „ლენინის კუთხე"-ს.

— **მოგვეცით სასადილო.** სად. ნავთლუღის რკ. გზ. რაიონის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება შუამდგომლობს „ზაკტპოსთან სადგურის პირველ კლასის დარბაზში წითელი სასადილოს დაარსების შესახებ.

— **ურთიერთ დამხმარე სალარო.** სამტრედიის გაერთიანებულ ადგილკომთან დაარსდა სალარო, რომელიც თავს უყრის 450 მუშას. სალაროს თანხას შეადგენს 150 მანეთი.

— **კულტ-წრეების მუშაობა.** სად. სამტრედიის მუშათა კლუბთან მოწყობილია შემდეგი წრეები: **მუშა-კორესპონდენტების,** ფიზკულტურის, მუსიკალური და მომღერალთა გუნდი.

ინფ. **ა—ძე.**

იურიდიული დახმარება ამხ. მუშებს.

შეკითხვა.

მე ვითვლები სეზონის მომუშავედ; აგერ ორთვენახევარია, რაც ვმუშაობ; მუშაობა მიხდება სალამოობით ზედმეტ საათებში და უქმე და კვირა დღეებში; სპეცტანისამოსს დამქირავებელი არ მაძლევს, თუმცა მე ასეთი ჩემი აზრით, როგორც მზარეულს, მეკუთვნის. გთხოვთ, განმიმარტოთ, ვალდებულია თუ არა დამქირავებელი მომცეს სპეცტანისამოსი და ზედმეტი საათების ნამუშევრის ჯილდო.

პასუხი

(ამხ. მუშა-სეზონელს).

თანახმად ს. ს. რ. კ. შრომის სახ. კომისარიატის 1923 წ. 24 სექტემბრის დადგენილება № 88, მუხ. 1-ისა, —სპეცტანისამოსი სეზონურ მუშებს ეძლევად იმ შემთხვევაში, როცა ეს გათვალისწინებულია შრომის სახკომის ნორმებით და სიებით, მუშაობის დაწყების დღიდანვე.

(იხ. ს. ს. ს. რ. შრ. სახკომის ბიულეტენი № 4—1924 წ. აპრილი-ივლისი).

ზედმეტი საათების ნამუშევრის ჯილდოს მიიღებით საერთო წესით. თუ კი ასეთი დადასტურებული იქნება საკონფლიქტო-შემფასებელ კომისიის, ან შრომის ინსპექტორის მიერ.

მუშის ლექსიკონი

(უცხო სიტყვათა ახსნა)

ინდივიდუალური—(ლათინური სიტყვაა)—პირადი, განსაკუთრებული, გამახასიათებელი ამა თუ იმ პირის, ან საგნის თვისება.

რატიფიკაცია— (ლათინ. სიტყვაა) ნიშნავს მთავრობის მიერ იმ ხელშეკრულების დამტკიცებას, რომელიც უკვე დადებულია მის სრულუფლებიან წარმომადგენელ-რწმუნებულის მიერ სხვა რომელიმე სახელმწიფოსთან.

სენსაცია—(ლათინური სიტყვაა)— ძლიერი, არაჩვეულებრივი შთაბეჭდილება, რომელიც გამოწვეულია არაჩვეულებრივი ამბებით, ან გარემოებით.

მელიორაცია—(ლათინური სიტყვაა) მიწის, [illegible] გაუმჯობესება-განოყიერება, გაპოხიერება, მიწის მოსავლიანობის გადიდების მიზნით.

პროვინციაში

პრიუტი

(თბილისის მაზრა)

1 სექტემბრიდან დაიძრენ მესაქონლეები თავიანთ საქონლებით მთის საძოვარ ადგილებიდან. ეს მიმოსვლა გაგრძელდება დამლევ დეკემბრამდე. მეტი ნაწილი საქონლებისა მოდენიან მთა „დაროვკიდან". ყოველ დღე ჩაივლის 20—25 ფარა ცხვრები და მსხვილ ფეხა რქიანი საქონელი. თითოული ფარა შესდგება სამი ათას და მეტი ცხვრისაგან. ფარების გავლა წარმოებს მანგლის-პრიუტის მიმართულებით, აღნიშნულ ფარების გავლა გზის მიმართულებით ამდენ ხანს დიდ ზარალს აყენებდა სოფლის მეურნეობას. მაგრამ წარსულ გაზაფხულის სეზონის შემდეგ მთავრობამ მიიღო სასწრაფო ზომები ამის ასაცილებლად. შესდგა განსაკუთრებული კომისია ამ საქმის მოსაწესრიგებლად. კომისიაში შედიოდენ წარმომადგენლები შემდეგი დაწესებულებებიდან, შინაგან საქმეთა კომისარიატი, ქალაქის აღმასკომი, ამხანაგობა „მწყემსის" და საძოვარ ადგილების ქვე-განყოფილება. კომისიამ იმსჯელა ამ საქმის მოსაწესრიგებლად და გამოყო მთელი გზის მიმართულებით რვა ადგილას ფარების გასაჩერებელი საძოვარი ადგილები, მაგრამ ეს კიდევ არ არის დამაკმაყოფილებელი. კომისიის დადგენილება სავსებით არ არის ჯერ-ჯერობით ცხოვრებაში გატარებული; მაგალითად, აღვნიშნავ პრიუტის თემს. კომისიის დადგენილებით უნდა ყოფილიყო პრიუტის თემის მიდამოებში შემოფარგლული ფარების საძოვარი გასაჩერებელი ადგილი, მაგრამ ეს არ შესრულდა, ვინაიდან სოფ. პრიუტს არა აქვს თავისუფალი საფონდო ადგილი. აგრეთვე სხვა ადგილებშიაც მეცხვარეების გადმოცემით არ არის შემოფარგლული ადგილები. ამჟამად იმდენ ზარალს ვერ მიაყენებს მეურნეობას საქონლების გავლა გზის მიმართულებით, რამდენიც მოუტანა გაზაფხულზე, ვინაიდან ეხლა ყველა ნათესი მომკილი აქვს გლეხობას. მაგრამ არის კიდევ ბოსტნეულობა, ახლად გაშენებული ხეხილები, სადაც შეუძლია ამ აუარებელ ფარების გავლამ დიდი ზარალი მიაყენოს. საჭიროა მესაქონლეებს დაენიშნოს გამცილებელი მილიცია სამი კაცისაგან შემდგარი მაინც, სადარაჯო ადგილებზე გადაბარებით. ეს მილიცია უნდა დაინიშნოს იმ ადგილებიდან, საიდანაც დაიძრებიან მესაქონლეები თავიანთ საქონლებით.

იაკობ ღლონტი.

ხელთუბნის თემი

(გორის მაზრა)

ჩვენს თემში აღმშენებლობა წარმატებით მიმდინარეობს. სულ თვენახევარია, რაც მოგვივიდა საბჭოს ახალი თავმჯდომარე, ახალგაზრდა პარტიული ამხ. გ. ხარატიშვილი. მისი მოსვლისთანავე თემის ცხოვრებას აღორძინებამ დაეტყო.

გამოცოცხლდა საბჭოს საქმიანობა.

ამხ. ხარატიშვილმა აგრეთვე აამუშავა გლეხთა საურთიერთო დამხმარე კომიტეტი, რომელიც დღემდის მოიკოჭლებდა.

სამკითხველოც დადგა სათანადო სიმაღლეზე. მუდამ დროზე მოგვდის გაზეთები. ხალხს, ვინც კითხვა არ იცის, ხმა მაღლა უკითხავს და უმარტავს გაზეთს სამკითხველოს გამგე, ახალგაზრდა ლენინელთა კომკავშირელი ამხ. ვასო გრეკოვი.

შემუშავებულია კლუბის მოსაწყობად გეგმა და წერა-კითხვის უცოდინართა სალიკვიდ. სკოლისაც.

არიან აქ კულაკები, რომლებიც ფლიდი ენით სისინებენ, მაგრამ, იმედია, ამათაც მიაქცევენ ყურადღებას ჩვენი თავმჯდომარე და მისი დამხმარენი. მომავალში უფრო მეტ წარმატებით წავა წინ თემი, რადგანაც საუკეთესო მუშაკები ჩაუდგნენ სათავეში.

მიტუშა ხელთუბნელი.

სოფ. ახმეტა

(თელავის მაზრა)

თელავიდან 25 ვერსის მანძილზე მდებარეობს სოფელი ახმეტა. ბუნებრივათ მეტათ ლამაზი სოფელია. მას ამშვენებს ტყე და ხეხილიანი ბაღები.

ბოლო ხანებში ახმეტას მიემატა ორი ფრიად მნიშვნელოვანი და ხალხისთვის დიდათ გამოსადეგი დაწესებულებანი.—ეს არის: ახმეტის მომრიგებელი სასამართლო, რომელმაც დიდი შეღავათი მისცა ახმეტის რაიონის მცხოვრებთ—მათ აწი აღარ მოუხდებათ 25 ვერსის გავლა სასამართლოში წასასვლელათ.

აგრეთვე დაარსდა ახმეტაში საგლეხო სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობა, რომელიც დიდ დახმარებას აღმოუჩენს ახმეტის რაიონის მცხოვრებთ და გადაარჩენს მათ ჩარჩების ყვლეფისგან.

ახმეტას არა ჰქონდა საკმაო სასმელი წყალი. ამის გამო შესდგა წყალკომი და შეუდგა ამ საქმის მოგვარებას. შეგროვდება 600 ფუთი ხორბალი. შეკვეთილია წყლის მილი. მიუხედავათ იმისა, რომ წელს მცირე მოსავალი იყო, ხალხი მაინც დიდი სიამოვნებით იხდის თავის ხვედრ ხორბალს. მადლობის ღირსია მთელი წყალკომი, რომელიც დაუღალავათ მუშაობს ამ საქმისათვის.

ახმეტელი კაპრანა.

წითელ მეზღვაურთა ექსკურსია ბათომის ბოტანიკურ ბაღში

აჭარისტანის პოლიტ-განათლების მთავარ სამმართველოს დაევალა შეფობა გაეწია ბათომის ნავთსადგურში მოსულ საკანონერო ნავის წითელ მეზღვაურთათვის. უწინარეს ყოვლისა აღნიშნული ამხანაგები უზრუნველყოფილ იქნენ სხვა და სხვა გაზეთებით და ლიტერატურით. საერთოდ უნდა აღინიშნოს გასაოცარი სიძლიერე მათ მიერ სულიერი საზრდოს ძებნისა. გამოირკვა, რომ აღნიშნული ნავი პოლიტიკურ ბრძოლის ტრადიციასაც არ ყოფილა მოკლებული.

12 ა | თ. პოლიტგანათლებამ მოაწყო აღნიშნული ამხანაგების ექსკურსია ბოტანიკურ ბაღში, ამხ. პ. ცინცაძის ხელმძღვანელობით. გვიან გავემგზავრეთ, მაგრამ მეზღვაურებმა მაინც მოასწრეს ბოტ. ბაღის პირდაპირ ზღვაში ბანაობა, სადაც აპარატმა გადაიღო სხვა და სხვა „პოზა" მცურავ ამხანაგებისა, ხოლო ერთი მათგანი „მედუზით" ხელში, ბაღის განყოფილებანი: ევროპის ჯიშების, მექსიკანური, ჩრდილო-ამერიკისა, იაპონიური და ავსტრალიური გვიჩვენა ბაღის თანამშრომელმა ბაგრატ-ოღლიმ, რომელმაც დაგვიხასიათა ახლობელი და უცხო ფლორის ზოგი მცენარეები. ექსკურსანტები გაეცნენ ევკალიპტებს და მაშინვე რაღაც მსგავსებით ძალით ახსენეს თხემლა, რომელსაც უწოდეს **„Рассадница лихорадки"**.

სურათი გადაღებული იქნა რამდენიმე ადგილას ტროპიკულ მცენარეთა მწვანე ფონზე. დიდ ინტერესს იწვევდა კაკტუსების აგებულობა და მათ ხორცოვან ღეროზე ამოსული ეკლების მიზან-შეწონილობა, ისეთ მცენარეთა ზღაპრული ამბავი, რომლებიც ას წელში ერთხელ აყვავდებიან და კიდევაც იტყვიან თავის „გედის სიმღერას", პალმებისა და მაგნოლიების სიმრავლე და თვით ტყესავით ამოცენებული მოლი, რომლის სხვა და სხვა ფორმის მწვანე ჩარჩოში მრავლად შვენოდენ უცხო ფლორის იშვიათი ჯიშები. სალამოს მწვანე კონცხისაკენ დავეშვით, სადაც მრავლად გაფენილმა ველურმა სილამაზემ აგრძნობინა ჩვენ მეზღვაურებს, რომ ბუნებას უთვალავი საღებავები მოეპოვება, რომლითაც ის გენიალურ მხატვარზე უფრო მრავალფეროვანად და ლამაზად ხატავს. ბილიკიდან არავინ არ უხვევდა. მეზღვაურთა თავდაჭერილობა და დინჯი მუსაიფი, უფროსისადმი მოპყრობა და სხვა ამტკიცებდა, რომ ამხანაგური წესრიგი შესაფერისად აქვთ მათ შეთვისებული და რომ ჩვენი კავშირის მეომარ მოქალაქეებს „ჯანმრთელ სხეულში ჯანმრთელი სული უდგათ". აი რაში დაგვარწმუნა ჩვენ მათთან სულიერმა დაკავშირებამ. დაიშალნენ და თან წაიღეს, მათი თქმით, წარუშლელი შთაბეჭდილებანი.

პ. ცინცაძე.

ქ. ზესტაფონი

(შორაპნის მაზრა)

18 სექტემბერს მოწვეული იქნა ქ. ზესტაფონის გაერთიანებულ ადგილკომის წევრთა საზოგადო კრება, რომელსაც დაესწრო საბჭოთა დაწესებულების მუშა-მოსამსახურეების, ქალაქის ტრანსპორტზე მომუშავეთა, მედსანშრომის და ფოსტა-ტელეგრაფის კავშირეების წევრთა უმრავლესობა.

კრების თავმჯდომარეთ იქნა არჩეული ამხ. დეკანოსიძე, რომელმაც გამოაცხადა კრების შემდეგი წესრიგი: 1) ინფორმაციული მოხსენება მენშევიკური ავანტიურის შესახებ. 2) მუშა-მოსამსახურეთა შვილების „ბავშთა კომუნისტურ ჯგუფებში" ჩაწერის შესახებ და 3) მიმდინარე საკითხები. პირველი საკითხზე ვრცელი და შინაარსიანი მოხსენება გააკეთა ამხ. ზვიადაძემ. ის დაწვრილებით შეეხო მენშევიკური პარტიის განვითარების ისტორიას საქართველოში, დაასკვნა, რომ უკანასკნელ დროს მენშევიკური პარტია საბოლოოთ გადაიბარგა კონტრ-რევოლიუციის ბანაკში. ეს პარტია სამი წლის განმავლობაში აწარმოებდა განუწყვეტელ ბრძოლას საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, რაც ამ უკანასკნელ დღეებში დასრულდა მათი ბანდიტური გამოსვლის საბოლოო დამარცხებით. ამის შემდეგ მენშევიკური პარტია აღარ შეიძლება ჩაითვალოს პოლიტიკურ პარტიათ, ის გადაიქცა ბანდიტურ ორგანიზაციათო. მოხსენებას კრება დიდის აღფრთოვანებით მიეგება და ერთხმათ იქნა გამოტანილი შემდეგი რეზოლიუცია: მოისმინა-რა ამხ. ზვიადაძის მოხსენება მენშევიკური ავანტიურის შესახებ ქ. ზესტაფონის გაერთიანებული ადგილკომის მუშა-მოსამსახურეთა კრება ზიზღს უცხადებს მენშევიკ-ავანტიურისტებს, როგორც საერთაშორისო ბურჟუაზიის ლაქიებს. ძირს მენშევიზმი, გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას და მის ხელმძღვანელ კომუნისტური პარტიას. გაუმარჯოს წითელ პროფინტერნს, გაუმარჯოს მსოფლიო რევოლიუციას და მის შტაბს—მესამე კომუნისტური ინტერნაციონალს!

მეორე საკითხის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ოგანოვმა. მან განუმარტა კრებას თუ რა განსხვავებაა უწინდელ „შევარდენსა" ეხლანდელ „სპარტაკ" შორის; შემდეგ განაცხადა, რომ საქართველოს პროფკავშირიდან მოსულია წინადადება, რათა საბჭოთა მუშა-მოსამსახურეების კავშირის წევრთა შვილებს 8—16 წლამდე შეუძლიათ ჩაეწერონ ბავშთა კომუნისტურ ჯგუფებში; კრების მიერ ეს წინადადება ერთხმად მიღებული იქნა. მიმდინარე საკითხებში ამხ. მენაბდემ განაცხადა: შემჩნეულია, რომ კავშირის ზოგიერთი წევრები იჩენენ გულგრილობას თავისი მოვალეობისადმი, არ ემორჩილებიან პროფ-კავშირის დისციპლინას, უმეტესად ეს გამოიხატება მასში, რომ არ ესწრებიან საზოგადო კრებებს; მიტინგებისა და მანიფესტაციების დროს გაურბიან მასში მონაწილეობის მიღებას, ასეთ მოვლენას მომავალში ადგილი არ უნდა ექნეს. აღსანიშნავია, რომ ადგილკომის [illegible] მდივანი ამხ. დეკანოსიძეს მეცადინეობით ადგილკომთან დაარსებულია საბჭოთა მუშა-მოსამსახურეების სამკითხველო, გამოწერილია ყველა ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთები; ყველა ისეთ დაწესებულებებში, სადაც თანამშრომლები იღებენ მცირე ხელფას, როგორიც არის მილიცია, სასამართლო და სხვა. ადგილკომი უფასოთ უგზავნის გაზეთ „მუშას". ადგილკომთან არსებობს საურთიერთო დამხმარე კასა, საიდანაც უმუშევრები და ღარიბი მუშა-მოსამსახურენი იღებენ დახმარებას ერთდროულს და სესხის სახით.

მუშკორი **ტარ—განი.**

პროვინციის ქრონიკა

— **ადგილობრივი აღმასკომები** მიწად-მოქ. სახ. კომისარიატების წინადადებით შეუდგენ საავარაკო ტყეებიან ამონაყარი ძირების გლეხებს შორის უფასოთ განაწილებას.

— **შემოდგომის თესვის კომპანია** ახალციხის მაზრაში წარმატებით მიმდინარეობს.

— **გლეხკომების ბაკმა დიდი** სამსახური გაუწია ახალციხის მაზრის გლეხებს. დღემდე აღნიშნულ ბაკში ღამე გაუთევია სულ 4.846 გლეხს.

— **„თავის ტკივილის აბანო".** ქუთაისის სამაზრო გლეხკომა შეაკეთა პიშურის ე. წ. „თავის ტკივილის აბანო", სადაც მოწყობილია აუზები, გაყვანილია მილები და აგებულია ფიცრული სახლები.

— **საქონლის ჭირის** საჩხერეში გაძლიერების გამო, მიწად-მოქმედების კომისარიატმა ადგილობრივ გაგზავნა ბეითლები.

— **გლეხკომების არჩევნები.** ახალციხის მაზრაში დაიწყო გლეხკომების ხელ-ახალი არჩევნები.

— **სტიქიურ უბედურებით** დაზარალებულების აღრიცხვა-გამოკვლევას უკვე შეუდგენ ახალციხის მაზრაში, დახმარების გასაწევათ.

— **ქარქაშაძეებისეული აბანო.** ქუთაისის მაზრის გლეხკომმა შეაკეთა და გაამშვენიერა ხრესილში ქარქაშაძეებისეული აბანო.

— **საექიმო დახმარება გლეხებს.** ქუთაისის გლეხკომმა დღემდე ულარიბეს გლეხებზე საექიმო დახმარების სახით გაუცია 3.000 მან.

— **ოზურგეთის გლეხკომმა** გადასწყვიტა გააფართოვოს ჩაის, დაფნის და მეფუტკრეობის წარმოება და მოაშენოს კულტურული მცენარეულობა.

ბიბლიოგრაფია

ალექსანდრე ყაზბეგი

რჩეული მოთხრობები

ტომი 1 და 2. ს. ს. ს. რ. სახელმწიფო გამომცემლობა. თბილ
1924 წ. ყდა [illegible] ფასი თითოეულის 2 მან. 50 კ.

დასახელებული წიგნები მეტად დიდ განძს წარმოადგენენ ჩვენი ორიგინალური სიტყვა-კაზმული მწერლობისათვის. როგორც რედაქცია გადმოგვცემს და თვით წიგნის სათაურიდანაც სჩანს, შიგ მოთავსებულია მხოლოდ რჩეული მოთხრობები, ხოლო „სხვა მისი ნაწერების—როგორც დანარჩენი მოთხრობების, ისე დრამატიული ნაწარმოებების, ლექსების, თარგმანებისა და წერილების გამოცემა" შემდეგისთვის გადაუდვიათ.

როგორც წინასიტყვაობიდან ვგებულობთ, რედაქციას დიდი შრომა გაუწევია ამ წიგნების გამოცემაზე. მას შეუდარებია წინად გამოცემული მოთხრობების ტექსტი პირველად დაბეჭდილ ტექსტთან და ამის მიხედვით შეუსწორებია ტექსტი. შემდეგ მას გაუსწორებია ის ადგილები, რომლებიც დღემდე თვით ავტორისაგან დამოუკიდებელ მიზეზების გამო შემცდარად იყო დაბეჭდილი, განსაკუთრებით და უმთავრესად ცენზურის გამო. ერთი სიტყვით რედაქციას დიდი შრომა დაუხარჯავს ყაზბეგის მოთხრობათა გამოცემისთვის.

პირველ ტომში მოთავსებულია თვით ალ. ყაზბეგის ორი ფოტოგრაფიული სურათი: ერთი მოსკოვიდან მის დაბრუნებისა და მეორე კი უკანასკნელი. მოთავსებულია აგრეთვე მისი ხელნაწერის ფაქსიმილე (მოთხრობა „მოძღვარის" პირველი და უკანასკნელი გვერდი). რედაქციის წინასიტყვაობის გარდა მოთავსებულია აგრეთვე ორი კრიტიკული წერილი, რომელშიაც გარჩეულია მოკლედ ალ. ყაზბეგი და მისი მოთხრობები. ერთი წერილი ეკუთვნის ივ. გომართელს („ალ. ყაზბეგი რა მისი მიება") და მეორე ვ. კოტეტიშვილს („ალექ. ყაზბეგი. პიროვნული დახასიათება"). შემდეგ კი მიდის თვით მოთხრობები. პირველ ტომში მოთავსებულია შემდეგი რჩეული მოთხრობები: 1) ელგუჯა, 2) ციკო, 3) ელისო, 4) მამის მკვლელი, 5) ელბერდ და 6) ელეონორა.

მეორე ტომში მოთავსებულია ყაზბეგისა და [illegible] გადაღებული ფოტოგრაფიული სურათი და ერთიც თვით ალ. ყაზბეგ რომელიც, თუმცა აღნიშნული არ სურათზე, მაგრამ, როგორც ს ახალგაზრდობის დროს გადაღებუ უნდა იყოს. ამის შემდეგ იწყ მოთხრობები. მე-2 ტომში მოთავ ბულია რვა რჩეული მოთხრობა: ნამწყემსარის მოგონებანი, 2) მ ღვარი, 3) ხევის ბერი გოჩა, 4) ც კა, 5) ნინო, 6) ბერდია, 7) ც და 8) განკიცხული.

გარდა ამისა მეორე ტომს და თული აქვს ბოლოში ვარიანტები შენიშვნები, რომლების შესახებაც რედაქტორი ს. აბაშელი შემდ სწერს: „ვინაიდან ვარიანტის ნ ყვეტები წარმოადგენენ მოთხრო სხვადასხვა ნაწილიდან ამონაგლ ნაწილებს, ჩვენ მათ ვბეჭდავთ ცალ ცალკე; თვითეულ მათგანს მიჰყვ შენიშვნების სახით ხელთნაწერ წაშლილი პირვანდელი ტექსტის ა დგენილი სიტყვები".

ნაწყვეტები, რომლებიც მოყვან ლია ტექსტში, ამოღებულია მო ხრობა: „მოძღვარიდან" და შესდ ბა სულ ოთხი ნაწყვეტისაგან. „მო ღვარის" ვარიანტის ნაწყვეტებ (თავის შენიშვნებით) შემდეგ მი შენიშვნები, რომლებშიაც ნაჩვენებ თუ რა შესწორებები იქნა შეტანილ ამ ტომში მოთავსებულ მოთხრობებ ში უკანასკნელად დაბეჭდილ ტექ ტის პირვანდელ დაბეჭდილ ტექსტ თან შედარების დროს. ხოლო როგორაა ნაჩვენები ეს შენიშვნები, აჰა ს. აბაშელი სწერს: „შენიშვნებ ჩვენ მოვგყავს ჯერ ჩვენი გამოცემ აღდგენილი ტექსტი გვერდისა სტრიქონების ჩვენებით, შემდეგ იგ ვე ადგილები ძველი გამოცემებიდან

რაც შეეხება გამოცემის ტექნიკ მხარეს, უნდა ითქვას, რომ ის მ ლიან სუფთად და ლამაზათაა გამ ცემული. დაბეჭდილია კარგს ქ ღალდზე და წმინდა შრიფტით; ყდ მულიც კარგათ არის. მხოლოდ ერ საერთო ნაკლს ყველა გამოცემები —კორექტურულ შეცდომებს ვე ის გაქცევია.

X.

წერილები რედაქციის მიმართ

ამხანაგო რედაქტორო! გთხოვთ მოათავსოთ თქვენს გაზეთში შემდეგი ჩემი განცხადება:

პირველ დღიდანვე საქართველოს გასაბჭოებისა მე მომხრე ვიყავი კომუნისტებთან შეთანხმებისა და ამ აზრით ვმუშაობდი კიდეც ცოტა ხანს. 10 აპრილის კონფერენციის რეზოლიუციით მე არ ვიყავი კმაყოფილი და შემდეგში არც მიმუშავია მენშევიკურ ცეკასთან. ამ ხნის განმავლობაში მე ეჭვიც კი არ შემსვლია იმაში, რომ ვინმე იფიქრებდა, თითქოს მე მენშევიკურ ორგანიზაციაში ვმუშაობდე.

ყველას საყურადღებოდ ვაცხადებ, რომ მე თავიდანვე არ მქონდა კავშირი მენშევიკურ ცეკასთან, არც ამდენხანს მქონია და შემდეგშიაც არ ვფიქრობ რაიმე კავშირი ვიქ ნიო მასთან. ამასთან ვაცხადებ, რ მე არასოდეს არ ვყოფილვარ მომხ და არც ახლა ვარ ისეთი გამოსვლ ბის, რომელსაც მხოლოდ და მხ ლოდ განადგურება მოაქვს ჩვე ქვეყნისთვის, როგორც ეს მოხდა ბოლო დროს.

მიხეილ ორმოცაძე.

23 სექტ. 1924 წ.

ვუერთდებით სრულიად საქართველოს ხელოვანთა კულტურულ კავშ რის მთავარ კომიტეტის გაფართოე ბულ სხდომის მიერ 1924 წ. სექ 21-ს მიღებულ რეზოლიუციას („კომ № 217—1924 წ.).

ანასტასია ერისთავი-ხოშტარია.

დ. მევრელი.

23 სექტ. 1924 წ.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— ს. კ. პ. ც. კ-ტი წინადადებას აძლევს ქვემოთ დასახელებულ ამხანაგებს გამო ცხადდენ ხუთშაბათს 25 სექტემბერს საღამოს 6 საათზე ს. კ. პ. ც. კ-ტის საორგანიზაცი განყოფილებაში: 1. სუპასისპირელი ვალერიანი, 2. საყვარელიძე გიორგი, 3. ვანცი არტაშეს, 4. ფანცხავა ნიკოლოზი, 5. ხვედელიძე სერგო, 6. ყორანაშვილი ალექსანდრე, 7. ბუაჩიძე პეტრე, 8. ყურაშვილი ირაკლი, 9. ნასარიძე დათიკო, 10. სვანიძე გრამიტონ 11. ღლოცვაძე შალვა, 12, ბენდუქიძე ალექსანდრე, 13. სულავა კირილე, 14. ხუბულუ ანტონი, 15. ჩანგიშვილი გაბრიელ.

ს. კ. პ. ც. კ-ტის მდივანი: **კოსტანიანი.**

— საქართველოს კომპარტიის არსენალის რაიონი იუწყება, რომ ოთხშაბა 24 სექტემბერს საღამოს 6 საათზე რაიკომის ბინაზე შესდგება არსენალის რაიკომ კედლის გაზეთების სარედაქციო კოლეგიის წევრთა თათბირი. გასარჩევ საკითხებ მნიშვნელოვანობის გამო სარედაქციო კოლეგიის ყველა წევრთა დასწრება სავალდებულო

მდივნის მაგ. **გრიგორიანი.**

— საქართველოს კომპარტიის **ლენინის რაიკომის ქალთა განყოფილე** იტყობინება, რომ დღეს ოთხშაბათს 24 სექტემბერს, საღამოს 5 საათზე პლეხანოვის სა ლობის კლუბში შესდგება ლენინის რაიონის **დიასახლისთა საერთო კრება.**

ლენინის რაიკომის ქალთა განყოფილების გამგე **ბიბინეიშვილი.**

— დღეს, ოთხშაბათს 24 სექტემბერს, საღამოს 5 საათზე გზათა განყოფილებ მე-6 უბნის კლუბში შესდგება ლენინის რაიონის **პარტიული სადელეგატო კრ**

ყველა დელეგატების და უჯრედების მდივნების დასწრება სავალდებულოა. დღის წესრიგში დასმულია საურნო დამზღვევ სალაროს მოხსენება შრომის ნაყოფიერ ბის შესახებ.

ლენინის რაიკომის მდივანი **გოლდბაუმი.**

— საქართველოს ახალგაზრდა ლენინელთა კომკავშირის თბილისის ორგანიზაცი **არსენალის რაიკომი** წინადადებას აძლევს საქართველოს ახალგაზრდა ლენინელთა კომკავშირის ყველა წევრებს და კანდიდატებს—ქართული მუშფაკის და სახელმწიფო უნივერსიტეტის მსმენელებს სამი დღის განმავლობაში გამოცხადდენ ს. ა. ლ. კ. კ. ტ. არსენალის რაიკომის სააღრიცხვო—განმანაწილებელ განყოფილებაში უჯრედთან მისამაგრებლათ.

არსენალის რაიკომის პასუხისმგ. მდივანი **ეგიაზაროვი.**

პროფესიული

— **განათლების მუშაკთა სახლში. პარასკევს,** 26 სექტემბერს, საღამ 6 საათზე დანიშნულია უცხო ენათა ქვესექციის სხდომა.

დღის წესრიგში-ფრიად საყურადღებო საკითხებია.

საქმეთა მმართველი **ბარამიძე.**

— **განათლების მუშაკთა სახლში ხუთშაბათს,** 25 სექტემბერს, საღამ 6 საათზე განათლების მუშაკთა სახლში შესდგება ქართველ მასწავლებელთა კრებ ჟურნალ „განათლების მუშაკ"-ში მონაწილეობის და ჟურნალის გავრცელების შესახებ.

მოხსენებას გააკეთებს ამხ. **გოგუ[illegible]**

საქმეთა მმართველი **ბარამიძე.**

განცხადებები

შრომის სკოლების მასწავლებლების საყურადღებოდ

ს. ს. ს. რ. სახალხო განათლების კომისარიატის სოციალურ აღზრდის მთავარი გამგეობა

ამით აცხადებს

შრომის სკოლების პედაგოგიური პერსონალის საყურადღებოთ, რომ მიუხედავათ შრომის სკოლებში მეცადინეობის დაწყების ვადის გადატანისა ა. წ. 1 ოქტომბრისათვის მასწავლებლობა მოვალე იყო გამოცხადებულიყო სკოლებში თანახმად განკარგულებისა 10 ენკენისთვეს წინასწარ მუშაობის ჩასატარებლად. დღეს-კი, როგორც გვაცნობებენ ბევრი მასწავლებელი კიდევ არ გამოცხადებულა სკოლაში.

ვთვლით რა ასეთ მოვლენას დაუშვებლათ, ვთხოვთ სკოლის ყველა მუშაკს დაუყოვნებლივ გამოცხადდეს თავის მოვალეობის ასასრულებლად.

სახგანკომის სოც.-აღზრდის მთავარი გამგეობა.

ნ. 1566. 2—1.

სრულიად

რუსეთის საფეიქრო სინდიკატის

თბილისის განყოფილება

იტყობინება, რომ წლიური ანგარიშის წარმოების და ახალ ბინაზე (სომხური ბაზარი, № 62), გადასვლის გამო, განყოფილება სავაჭრო ოპერაციებისათვის დაკეტილი იქნება **26 სექტემბრიდან 5 ოქტომბრამდე.**

დაკეტილი იქნება აგრეთვე **საბითუმო-საცალო მაღაზიაც, 26-დან 30 სექტემბრამდე.**

სინდიკატების თბილისის განყოფილების გამგე **ა. ფ. რაუდენბტვენსკი.**

1563. 3—2.

ელექტრონით და სინათლით

სამკურნალო

საწოლებით რენტგენი დ'არსონვალი

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის

ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდები ექიმობას საჭიროებენ

მიღება 2—3 და 6—8 სათ. თბილისი, ყორღანოვის ქ. № 20.

№ 2095 25—4

ექიმი

ა. დ. კეკელია

სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობა.

მიღება: დილის 9—11 საათ. საღამოს 5—8. პლეხანოვის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ. № 2100 25—4.

ექიმი

ი. ი. ჭეიშვილი

სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, მიღება: დილის 7—8 საათ. საღამოს 6—7 საათ. მისამართი: კამოს ქუჩა, (ყოფ. დიდი მთავრის) № 72.

№ 2005 25—9.

ექიმი

გ. გ. მეგრაბიანი

შინაგანი, გულისა და ჭლექით დაავადმყოფებულნი. სპეც. ციების წამლობა—მეშხაპ. 914, ყოველ ორგანოების განათება, ფოტოგრაფიული გადაღება და წამლობა

რენტგენის სხივებით

დილ. 9—1 დღ. და 6—8 ს. საღ. ბებუთოვის ქუჩა № 23. 1562 13—8

ექიმი

ე. გ. მძინარიშვილი

რუსთველის პროსპექტი № 18 (შესავალი კრუზენშტერნის ქუჩიდან)

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი

მიღება: პირველის ნახევრიდან—ორის ნახევრამდე და 6—8 საათ., ქალებისა და ბავშვებისათვის 5-დან 6 ს.

ქვ. № 2046 25—7

ექიმი

მედიცინის დოქტორი

ა. ა. მონსე

ექიმობს მოზრდილთა და ბავშვთა შინაგანი ორგანოების და ნერვიული სისტემის ავადმყოფობას

ელექტრო-სინათლის

სამკურნალო კაბინეტი

მიღება: დილით 10 ს.—12 საათამდე და საღამოს 5 ს.—7 საათამდე პლეხანოვის პროსპ. № 111, ბინა 2

ქვ. № 2052—25—7

დაკარგე პირადობის წიგ. № 53 და კავშირის წიგნაკი ნიკოლოზ პანკრატოვის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ. № 2136 1—1.

დაკარგე პირადობის მოწ. მიხელ მოსეს ძე გულოხანმიგერაშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ. № 2137 1—1.

დაკარგე ღვინის მებართვა 400 ვედრისა № 1638 გაცემული 20 სექტ. არსენ სარიბეგოვის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ. № 2138 1—1.

დაკარგე დაქორწინების ამონაწერი მოცემული 1921 წელში ქ. თბილისის აღმასკომის მმაჩის ქვეგანყოფილების მიერ ალი კაფარ-ოღლის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ. № 2139 1—1.

დაკარგე რეგისტრაციის ბარათი მოწ. ჯინჯიხაშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ. № 2140 1—1.

დაკარგე პირადობის მოწმობა გაცემული თბილისის მილიციის უფროსისაგან დიმიტრი ბესას ძე ძიძიგურის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ. № 2141 1—1.

დაკარგე კავშირის წიგ. № 36 ნინო რუსიხიშვილის ხელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ. № 2144 1—1.

დაკარგე პროფკავშირის საწევ წიგნაკი № 427417 და „ზაკტპოს" საწევრო წიგნაკი № 260 იაკობ ზაქარიას ძე მირუაშვილის სახელ ჩაითვალოს გაუქმებულათ. № 21421—1.

დაკარგე მოწმობა „კარგორობის" მოცემული რკ. გზ სამართველოს მიერ 1901 წ. 23 მა № 15156 იტრიევის იგივე იტრიაშვილ სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ. № 2143 1—1.

დაკარგე სამხედრო აღრიცხ მოწმობა № 244, მოც მული ბაქოს სამხედრო კომისარიატიდან შრომის ბირჟის წიგნაკი ლევან სიმონის კარელიანცის სახელზე. ჩაითვალოს გაუ ბულათ. № 2146 1—1.

დაკარგე პირადობის მოწმობა ვა ტანგ მიხეილიძე ნიშვილის სახელზე. № 1098. ჩაითვალ გაუქმებულათ. № 2147 1—1.

დაკარგე მეტრიკული მოწ. № 5 ი. თოფურიას სახელზ ჩაითვალოს გაუქმებულათ. № 2148 1—1.

სტამბა „ზარია ვოსტოკას", საშა წულუკიძის ქუჩა № 4.